



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №45 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31/01/2014 №1; 28/02/2014 №5; 14/04/2014 №10; 29/08/2014 №17; 10/11/2014 №40; 18/12/2014 №45 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 115,700.0 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 117,605.0 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 125,690.5 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 105,380.0 ათასი ლარი. ბიუჯეტით დაგეგმილ პროექტებზე გათვალისწინებული თანხები, რომელთა დაფინანსება 2014 წელს არ განხორციელდა, დატოვებული იქნა ქ. ბათუმის საბიუჯეტო ანგარიშზე და გათვალისწინებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

2014 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს ასევე სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფერო და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები - 24,275.0 ათასი ლარი;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები - 20,593.3 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამები - 8,514.6 ათასი ლარი;
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამები - 10,997.9 ათასი ლარი;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამები - 4.8 ათასი ლარი;
- ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობის - პროგრამები - 11.1 ათასი ლარი;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები - 6,597.9 ათასი ლარი;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები - 4,727.4 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამები - 311.3 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები - 1,714.2 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები - 4,592.6 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების დაფინანსება (11,229.3 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (10,199.3 ათასი ლარი), ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (30.2 ათასი ლარი), კომუნალური



გადასახადების ერთიანი ადმინისტრირება (25.3 ათასი ლარი), სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება (89.7 ათასი ლარი), ციტრუსის ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობა - 1,466.3 ათასი ლარი).

ქ. ბათუმის 2014 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2014 წლის გეგმა	2014 წლის შესრულება	შესრულება.ის %
შემოსავლები	115,300.0	117,242.4	101.7%
გადასახადები	13,000.0	13,937.5	107.2%
გრანტები	76,993.0	76,387.1	99.2%
სხვა შემოსავლები	25,307.0	26,917.8	106.4%
ხარჯები	77,401.9	71,679.8	92.6%
შრომის ანაზღაურება	8,531.1	8,489.4	99.5%
საქონელი და მომსახურება	16,424.6	15,768.0	96.0%
პროცენტი	2,649.7	2,548.4	96.2%
სუბსიდიები	30,847.4	30,462.5	98.8%
სოციალური უზრუნველყოფა	4,997.8	4,253.2	85.1%
სხვა ხარჯები	13,951.3	10,158.3	72.8%
საოპერაციო სალდო	37,898.1	45,562.6	120.2%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	39,490.0	25,248.6	63.9%
ზრდა	39,890.0	25,611.2	64.2%
კლება	400.0	362.6	90.6%
მთლიანი სალდო	-1,591.9	20,314.0	-1276.1%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-9,990.5	12,224.9	-
ზრდა		12,258.7	-
ვალუტა და დეპოზიტები		12,258.7	-
კლება	9,990.5	33.7	-
ვალუტა და დეპოზიტები	9,990.5	33.7	-
ვალდებულებების ცვლილება	-8,398.6	-8,089.0	96.3%
კლება	8,398.6	8,089.0	96.3%
საშინაო	8,398.6	8,089.0	96.3%
ბალანსი	0.0	0.0	



ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2014 წლის გეგმა	2014 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	115,700.0	117,605.0	101.6%
შემოსავლები	115,300.0	117,242.4	101.7%
არაფინანსური აქტივების კლება	400.0	362.6	90.6%
გადასახდელები	125,690.5	105,380.0	83.8%
ხარჯები	77,401.9	71,679.8	92.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	39,890.0	25,611.2	64.2%
ვალდებულებების კლება	8,398.6	8,089.0	96.3%
ნაშთის ცვლილება	-9,990.5	12,224.9	

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის
ბიუჯეტის შემოსულობები




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 117,605.0 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2014 წლის გეგმიური მაჩვენებლის 101.6%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 13,937.5 ათასი ლარი (შემოსულობების 11.9%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 76,387.1 ათასი ლარი (შემოსულობების 65%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 26,917.8 ათასი ლარი (შემოსულობების 22.9%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 362.6 ათასი ლარი (შემოსულობების 0.3%).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

(ათასი ლარი)

#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	117,242.4	99.7%
1.1	გადასახადები	13,937.5	11.9%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	76,387.1	65.0%
1.3	სხვა შემოსავლები	26,917.8	22.9%
2	არაფინანსური აქტივების კლება	362.6	0.3%
ჯამი		117,605.0	100%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები




შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)



#	შემოსულობების დასახელება	2014 წლის გეგმა	2014 წლის შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	115,300.0	117,242.4	1,942.4	101.7%
1.1	გადასახადები	13,000.0	13,937.5	937.5	107.2%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	76,993.0	76,387.1	-605.8	99.2%
1.3	სხვა შემოსავლები	25,307.0	26,917.8	1,610.8	106.4%
2	არაფინანსური აქტივების კლება	400.0	362.6	-37.4	90.6%
ჯამი		115,700.0	117,605.0	1,905.0	101.6%

ქ. ბათუმის 2014 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
შემოსულობების დინამიკა

(ათასი ლარი)




#	დასახელება	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	58,461.7	122,075.8	160,594.2	202,436.4	151,423.9	87,607.8	117,242.4
1.1	გადასახადები	8,382.0	7,973.8	10,547.3	11,918.1	12,619.0	11,628.1	13,937.5
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	43,210.8	106,279.9	137,290.6	176,229.6	116,363.9	54,416.5	76,387.1
1.3	სხვა შემოსავლები	6,868.9	7,822.1	12,756.3	14,288.7	22,441.0	21,563.2	26,917.8
2	არაფინანსური აქტივების კლება	5,620.6	2,135.0	9,043.9	6,682.4	13,680.9	553.4	362.6
	სულ ჯამი	64,082.3	124,210.8	169,638.1	209,118.8	165,104.8	88,161.2	117,605.0

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა



შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 115,300.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 117,242.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.7%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 13,937.5 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის _ 13,000.0 ათასი ლარის 107.2%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 11.9%-ს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)



#	შემოსავლის სახე	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი	შესრულება			
									2014 წ. გეგმასთან		2013 წ. ფაქტთან	
									გადახრა (ათ. ლარი)	%	გადახრა (ათ. ლარი)	%
1	ქონების გადასახადი	7,579.1	10,507.6	11,911.0	12,616.3	11,625.3	13,000.0	13,936.5	936.5	107.2%	2,311.1	119.9%
1.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	122.7	262.4	544.7	673.8	792.8	520.0	861.8	341.8	165.7%	69.1	108.7%
1.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	6,200.4	8,639.1	10,080.9	10,934.3	9,519.7	11,430.0	11,376.5	-53.5	99.5%	1,856.8	119.5%
1.3	მიწის გადასახადი	1,256.0	1,606.1	1,285.4	1,008.2	1,312.9	1,050.0	1,698.2	648.2	161.7%	385.3	129.3%
2	სხვა გადასახადები	394.7	39.7	7.1	2.7	2.7		1.0	1.0		-1.7	35.7%
სულ		7,973.8	10,547.3	11,918.1	12,619.0	11,628.1	13,000.0	13,937.5	937.5	107.2%	2,309.4	119.9%

2014 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ძირითადად ქონების გადასახადის სახით იყო წარმოდგენილი.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2014 წლის გეგმიური მაჩვენებელი 13,000.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 13,936.5 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმის 107.2%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

#	დასახელება	2014 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	13,000.0	13,936.5	936.5	107.2%
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	11,430.0	11,376.5	-53.5	99.5%
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	520.0	861.8	341.8	165.7%
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,050.0	1,698.2	648.2	161.7%

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 11,430.0 ათასი ლარით. ფაქტიურად მოხილზებული იქნა 11,376.5 ათასი ლარი. რაც გეგმის 99.5%-ია.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 520.0 ათასი ლარის მოხილზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 861.8 ათასი ლარი, რაც გეგმის www.batumi.ge



165.7%-ია. ქონების გადასახადის აღნიშნულ სახეში გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ცალკეული ორგანიზაციების მიერ გადასახადი გადახდილია შეცდომით ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის კოდზე, ნაცვლად საწარმოთა ქონების გადასახადისა.


მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 1,698.2 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1,050.0 ათასი ლარი) 161.7%-ია. გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებელი განპირობა ცალკეული ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა მსხვილმა გადახდებმა, რომლებიც წინა წლებში არ ფიქსირდებოდა.

(ათასი ლარი)

#	დასახელება	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	7,579.1	10,507.6	11,911.0	12,616.3	11,625.3	13,936.5
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	6,200.4	8,639.1	10,080.9	10,934.3	9,519.7	11,376.5
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	122.7	262.4	544.7	673.8	792.8	861.8
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,256.0	1,606.1	1,285.4	1,008.2	1,312.9	1,698.2

ქონების გადასახადის 2014 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2013 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,856.8 ათასი ლარით (19.5 %-ით) გაზრდილია. ქონების გადასახადი საინვესტიციო მასშტაბების ინდიკატორია. ამ მხრივ ქალაქ ბათუმის მასშტაბით პოზიტიური ძვრებია, სამეწარმეო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ზრდა საბოლოო ჯამში ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზეც აისახება.


ქონების გადასახადის სტრუქტურა






საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:

ქონების გადასახადის შესრულება
ცალკეული თვეების მიხედვით




ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით
(ნაზარდი ჯამით)





ქონების გადასახადის შესრულების დინამიკა ცალკეული თვეების მიხედვით 2009-2014წლები (ნაზარდი ჯამით)



სხვა გადასახადები – აღნიშნულ სახეში მობილიზებული იქნა 1.0 ათასი ლარი, რომელიც წინა წლების გაუქმებული ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებია.

ფინანსური დახმარება და გრანტები

2014 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 76,387.1 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 76,993.0 ათას ლარს, სხვაობა შეადგენს 605.8 ათას ლარს. რომელიც ტრანსფერების ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შემდეგ დარჩენილი ეკონომიის თანხაა და რომელის მიღებაც ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისად არ მომხდარა.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 52,542.3 ათას ლარს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული ფინანსური სახსრები შეადგენს 7,256.4 ათას ლარს, ასევე, სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014 წელს მიღებული იქნა 139.9 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 16,448.5 ათას ლარს შეადგენს.



ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 65.0%-ია.

(ათასი ლარი)

#	დასახელება	2014 წლის გეგმა	2014 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება	60,540.5	59,938.6	601.9
1.1	გათანაბრებითი ტრანსფერი	52,542.3	52,542.3	0.0
1.2	სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის:	7,998.2	7,396.3	601.9
	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	7,857.1	7,256.4	600.7
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	141.1	139.9	1.2
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება	16,452.5	16,448.5	4.0
	ჯამი	76,993.0	76,387.1	605.8

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული სახსრები

ქ. ბათუმის ბიუჯეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მისაღები სახსრების გეგმიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 7,857.1 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა თანხა 7,256.4 ათასი ლარის ოდენობით. კერძოდ, საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან თანხები გამოიყო შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად:

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №35 განკარგულების (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 აგვისტოს №1111 და 19 აგვისტოს №1083 განკარგულებების საფუძველზე) შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების (ჭავჭავაძისა და აბუსერიძის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგება, წრიულის მოწყობა; გონიო-კვარიათში ზღვისკენ გამსვლელი გზების კეთილმოწყობა; ზღვის სანაპიროს მონაკვეთზე ნაპირსამაგრი სამუშაოები; ჰელიმიშის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობა; კახაბრის ქუჩაზე შამბოების მოწყობის სამუშაოები, მრავალკორპუსიანი სახლების ეზოების კომუნალური სისტემების მოწესრიგება და ქ. ბათუმში ახალი სარაგბო სტადიონის მშენებლობა) დაფინანსების მიზნით გამოყოფილი იქნა 7,372.5 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე ჩაირიცხა 6,814.2 ათასი ლარი (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით), საიდანაც 3,965.1 ათასი ლარი მიიმართა შესრულებულ სამუშაოებზე, ხოლო დარჩენილი სხვაობა 2,849.1 ათასი ლარი გათვალისწინებულ იქნა 2015 წლის ბიუჯეტში შესაბამისი სამუშაოების (ქ. ბათუმში ახალი სარაგბო სტადიონის მშენებლობა) დასაფინანსებლად.



საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №191 განკარგულების (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 28 მაისის №101 განკარგულება) შესაბამისად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გაწეული სამუშაოების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი იქნა 484.6 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით ჩაირიცხა 442.2 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)

#	საფუძველი	გამყოფილი თანხა	გამყოფილი თანხა	ჩამორიცხული თანხა	სხვაობა
1	საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის # 35 განკარგულება	სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით	7,372.5	6,814.2	558.3
2	საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის # 191 განკარგულება	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით	484.6	442.2	42.4
ჯამი			7,857.1	7,256.4	600.7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2014 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 16,448.5 ათასი ლარი, მათ შორის:

- ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 16,149.9 ათასი ლარი;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივნისის #192 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, ქ. ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ქ. №11-ში მდებარე ხანძრის შედეგად დაზიანებულ სახლში მცხოვრები 9 ოჯახისათვის მატერიალური გაცემის დახმარების მიზნით - 45.0 ათასი ლარი;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 17 ივლისის #213 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. #108-ში მცხოვრებ ელიზავეტა სავიდის (პ/ნ 61001040603) ოჯახისათვის 10 000 ლარი და ქ. ბათუმში, აფხაზეთის ქ. #2-ში მცხოვრები ვიტალი ძანძავას (პ/ნ 62006047982) ოჯახისათვის 8 000 ლარი მატერიალური დახმარების მიზნით - 18.0 ათასი ლარი.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 06 ნოემბრის #379 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში მოსული ჭარბი ატმოსფერული ნალექების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარების მიზნით - 235.1 ათასი ლარი. საიდანაც ათვისებულმა თანხამ შეადგინა 231.1 ათასი ლარი;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის #417 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, ქ. ბათუმში,



ლერმონტოვის ქ. #80-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული ეთერ გათენადის (პ/ნ 61001001314) ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით - 4.5 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)

#	საფუძველი	გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	ჩამორიცხული თანხა	სხვაობა
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	16,149.9	16,149.9	0.0
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივნისის # 192 ბრძანება	ქ. ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ქ. №11-ში მდებარე ხანძრის შედეგად დაზარალებულ სახლში მცხოვრები 9 ოჯახისათვის მატერიალური გაცემის დახმარების მიზნით	45.0	45.0	0.0
3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 17 ივლისის # 213 ბრძანება	ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. # 108-ში მცხოვრებ ელიზავეტა სავიდის (პ/ნ 61001040603) ოჯახისათვის 10 000 ლარი და ქ. ბათუმში, აფხაზეთის ქ. # 2-ში მცხოვრები ვიტალი ძანძავას (პ/ნ 62006047982) ოჯახისათვის 8 000 ლარი მატერიალური დახმარების მიზნით	18.0	18.0	0.0
4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 06 ნოემბრის # 379 ბრძანება	აჭარის ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში მოსული ჭარბი ატმოსფერული ნალექების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარების მიზნით	235.1	231.1	4.0
5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის # 417 ბრძანება	ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. # 80-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული ეთერ გათენადის (პ/ნ 61001001314) ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით	4.5	4.5	0.0
ჯამი			16,452.5	16,448.5	4.0

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული სახსრები

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით ქ. ბათუმის ბიუჯეტში მიღებული იქნა 139.9 ათასი ლარი. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (III ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2014 წლის საპროგნოზო მოცულობა 25,307.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 26,917.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 106.4%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 22.9%-ს შეადგენს.



საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 3,243.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3,065.0 ათასი ლარი) 105.8%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 2,639.4 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- **რენტის** სახით მიღებულია 604.1 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 102.2 ათასი ლარი, მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 501.9 ათასი ლარი. 2014 წელს თვითმართველობიდან მიწის იჯარით მიღებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილი არ იქნა შესრულებული ცალკეული კომპანიების მიერ, რის გამოც სხვა შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა ვერ შესრულდა.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 16,340.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15,550.0 ათასი ლარი) 105.0%-ია. აქედან:

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით – 16,334.3 ათასი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 468.9 ათასი ლარი. კერძოდ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მონაცემებით 2014 წლის განმავლობაში გაიცა 1072 მშენებლობის ნებართვა.

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** – 1.9 ათასი ლარი;

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** – 5.0 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** – 13,644.9 ათასი ლარი, მათ შორის:

სამორინის მაგიდიდან – 5,580.0 ათასი ლარი;


სათამაშო აპარატებიდან – 7,438.6 ათასი ლარი;

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან – 600.0 ათასი ლარი;

წამახალისებელი გათამაშებიდან – 24.0 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 2.3 ათასი ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან ქ. ბათუმის ბიუჯეტში 2014 წელს მიღებული თანხები



- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 1,270.1 ათასი ლარის ოდენობით, სხვა შემოსავლების აღნიშნულ სახელში გეგმის შესრულებას დააკლდა 729.9 ათასი ლარი. მას შემდეგ, რაც შევიდა ცვლილება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 28 ივნისს, რომლის მიხედვითაც ფიზიკური და იურიდიული პირები გათავისუფლდნენ ადრე დარიცხული დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების გადახდისაგან, ფაქტიურად კლება დაფიქსირდა შემოსავლის აღნიშნულ სახეში. ასევე, მოუწესრიგებელი იყო გადამხდელთა ბაზა. ამიტომ, 2015 წლიდან გაძლიერდა მოსაკრებლის ადმინისტრირება: შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც მოახდენს მოსაკრებლის გადამხდელთა ინვენტარიზაციას, სრულყოფილი ბაზის მომზადებას და გადახდის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას.

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის _ 943.5 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან _ 6.3 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს (ძირითადად შენობა-ნაგებობების იჯარიდან მიღებულ შემოსავალს).

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 4,871.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4,500.0 ათასი ლარის) 108.3%-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 213.2 ათასი ლარი;



შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 208.4 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 2,147.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 39.7 ათასი ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში - 1,317.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 88.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 53.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 27.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 55.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 321.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში - 28.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან - 371.9 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მიღებულია 2,462.0 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 2,192.0 ათას ლარს შეადგენდა. ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 112.3%. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 230.0 ათასი ლარი;

შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 761.9 ათასი ლარი;

გარე რეკლამის განთავსების უფლების საფასურს - 170.9 ათასი ლარი;

გარე ვაჭრობის უფლების საფასურს - 55.7 ათასი ლარი;

პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის საფასურს - 55.9 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან - 12.6 ათასი ლარი;

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან მიღებულ საფასურს - 66.8 ათასი ლარი;

მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებას (გოგებაშვილის ქუჩაზე და ევროპის მოედნის ირგვლივ მდებარე შენობების რეკონსტრუქციის და ფართის დამატების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში) - 122.3 ათასი ლარი;


მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 6.8 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებელ და დაბრუნებულ საბიუჯეტო სახსრებს - 946.1 ათასი ლარი;



სხვა დანარჩენ არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 33.0 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათასი ლარი)



დასახელება	2014 წლის გეგმა	2014 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	25,307.0	26,917.8	1,610.8
შემოსავლები საკუთრებიდან	3,065.0	3,243.4	178.4
პროცენტები	2,290.0	2,639.4	349.4
რენტა	775.0	604.1	-170.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	150.0	102.2	-47.8
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	625.0	501.9	-123.1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	15,550.0	16,340.6	790.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	15,550.0	16,334.3	784.3
სანებართვო მოსაკრებელი	300.0	468.9	168.9
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	1.9	1.9
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	5.0	5.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	12,650.0	13,644.9	994.9
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	600.0	943.5	343.5
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,000.0	1,270.1	-729.9
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	6.3	6.3
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	0.0	6.3	6.3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,500.0	4,871.8	371.8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	2,192.0	2,462.0	270.0


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)



დასახელება	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	7,822.1	12,756.3	14,288.7	22,440.9	21,563.2	26,917.8
შემოსავლები საკუთრებიდან	910.8	1,790.3	2,797.9	7,896.3	3,824.3	3,243.4
პროცენტები	543.1	1,392.1	1,925.9	6,980.4	3,025.4	2,639.4
რენტა	367.7	398.2	872.0	915.9	798.9	604.1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	80.5	164.6	291.1	283.1	268.8	102.2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	287.2	233.6	580.9	632.8	530.2	501.9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	5,039.0	7,309.5	8,635.0	9,995.8	11,702.6	16,340.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	4,946.3	7,267.7	8,620.2	9,990.2	11,696.8	16,334.3
სანებართვო მოსაკრებელი	217.8	372.8	215.4	373.9	361.0	468.9
სახელმწიფო ბაჟი	4.5	2.0				
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.4	0.5	0.9	1.4	1.4	1.9
სატენდერო მოსაკრებელი	38.2	55.6				
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.4	2.2	13.2	10.2	11.4	5.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	3,620.8	5,914.4	7,338.5	7,976.6	9,544.7	13,644.9
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის						943.5
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,064.2	920.2	1,042.6	1,605.6	1,755.9	1,270.1
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		0.0	9.56	22.50	22.50	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	92.7	41.8	14.8	5.6	5.8	6.3
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	92.7	41.8	14.8	5.6	5.8	6.3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,266.7	2,297.4	2,370.6	3,188.1	4,906.3	4,871.8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	605.6	1,359.1	485.2	1,360.7	1,130.0	2,462.0

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა



სხვა შემოსავლების 2014 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 5,354.6 ლარით აღემატება. პროცენტულ გამოხატულებაში ზრდა წინა წელთან შედარებით 24.8 %-ს შეადგენს. შესაბამისად, გაუმჯობესდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა, ვინაიდან სხვა შემოსავლები ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება.

არაფინანსური აქტივების კლება

2014 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 362.6 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (400.0 ათასი ლარის) 90.6%-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 0.3%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა 337.3 ათასი ლარი, ასევე შენობა ნაგებობების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს – 0.4 ათასი ლარი, ხოლო 24.9 ათასი ლარი მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალია.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 21,970.2 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა -9,990.5 ათასი ლარით (კლება). აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან.

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 34,195.1 ათას ლარს შეადგენდა, რაც განპირობებული იყო ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებების სრულად დაუფინანსებლობით და მომდევნო საბიუჯეტო წელს გადატანით.

დასახელება	2013 წლის გეგმა	2013 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2014		21,970.2
ნაშთის ცვლილება	-9,990.5	12,225.0
ზრდა		12,258.7
ვალუტა და დეპოზიტები		12,258.7
კლება	9,990.5	33.7
ვალუტა და დეპოზიტები	9,990.5	33.7
ნაშთი 01.01.2015		34,195.2




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში






ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

(ათასი ლარი)

#	გადასახდელების დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	14,413.9	13,892.1	96.4%	14.3%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	11,674.5	11,254.1	96.4%	11.6%
1.2	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2,649.7	2,548.4	96.2%	2.6%
1.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	89.7	89.7	100.0%	0.1%
2	თავდაცვა	40.0	30.2	75.4%	0.03%
3	ეკონომიკური საქმიანობა	30,945.8	26,699.3	86.3%	27.4%
3.1	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1,466.4	1,466.3	100.0%	1.5%
3.2	ტრანსპორტი	28,510.5	24,275.0	85.1%	25.0%
3.3	ეკონომიკის სხვა დარგები	422.7	415.9	98.4%	0.4%
3.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	546.2	542.1	99.2%	0.6%
4	გარემოს დაცვა	9,758.0	9,015.8	92.4%	9.3%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	6,883.6	6,666.4	96.8%	6.9%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	2,874.4	2,349.4	81.7%	2.4%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	23,625.8	16,071.8	68.0%	16.5%
5.1	ბინათმშენებლობა	2,500.0	0.0	0.0%	0.0%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	12,806.7	8,667.7	67.7%	8.9%
5.3	წყალმომარაგება	4,252.6	3,589.3	84.4%	3.7%
5.4	გარე განათება	3,461.6	3,224.0	93.1%	3.3%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	604.9	590.8	97.7%	0.6%
6	ჯანმრთელობის დაცვა	1,912.3	1,714.2	89.6%	1.8%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	19,306.7	14,261.3	73.9%	14.7%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	14,097.1	9,305.8	66.0%	9.6%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	4,884.0	4,644.2	95.1%	4.8%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	325.6	311.3	95.6%	0.3%
8	განათლება	12,091.9	11,013.8	91.1%	11.3%
9	სოციალური დაცვა	5,197.5	4,592.6	88.4%	4.7%
გადასახდელების ჯამი		117,291.9	97,291.0	82.9%	100.0%

ქ. ბათუმის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2014 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 14,413.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 13,892.1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 96.4%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი, კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირება), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 40.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 30.2 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 75.4%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამდებლების ტრასპორტირების ხარჯებს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 30,945.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 26,699.3 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 86.3%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 27.4%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს ციტრუსის ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობის, გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაციის, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების, ნაპირგამაგრებითი სამუშაოების, ტურისტული ობიექტების მართვის, ქალაქის კულტურული და ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობის და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამების დაფინანსებას.



გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 9,758.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 9,015.8 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 92.4%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავების და სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო პროგრამებზე გაწეული ხარჯები.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის ქალაქის ბინათმშენებლობის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ტექნიკური ზედამხედველობის, ქალაქის დაგეგმარების, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის, სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების და ქალაქის გაფორმების, ასევე ბათუმის განვითარების ფონდის პროგრამების ხარჯები, შეადგენდა 23,625.8 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 16,071.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 68.0%-ია.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 1,912.3 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 1,714.2 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 89.6%-ია.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 19,306.7 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 14,261.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 73.9%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 14.7%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტულ-ახალგაზრდულის ცენტრის განვითარების პროგრამები, ასევე კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯები და რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მხარდაჭერის პროგრამები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 12,091.9 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 11,013.8 ათას ლარს, ანუ გეგმის 91.1%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების მხარდაჭერის და ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობის პროგრამები.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 5,197.5 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 4,592.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.4%-ია.




ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:


(ათასი ლარი)

#	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	77,401.9	71,679.8	92.6%	68.0%
1	შრომის ანაზღაურება	8,531.1	8,489.4	99.5%	8.1%
2	საქონელი და მომსახურება	16,424.6	15,768.0	96.0%	15.0%
2.1	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	183.6	182.7	99.5%	0.2%
2.2	მივლინებები	97.0	65.7	67.8%	0.1%
2.3	ოფისის ხარჯები	688.7	655.2	95.1%	0.6%
2.4	წარმომადგენლობითი ხარჯები	69.5	51.2	73.7%	0.0%
	სამედიცინო ხარჯები	1.0	0.0	0.0%	0.0%
2.6	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	8.3	2.5	30.2%	0.0%
2.7	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	484.0	408.4	84.4%	0.4%
2.8	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	14,892.5	14,402.2	96.7%	13.7%
3	პროცენტი	2,649.7	2,548.4	96.2%	2.4%
4	სუბსიდიები	30,847.4	30,462.5	98.8%	28.9%
5	სოციალური უზრუნველყოფა	4,997.8	4,253.2	85.1%	4.0%
6	სხვა ხარჯები	13,951.3	10,158.3	72.8%	9.6%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	39,890.0	25,611.2	64.2%	24.3%
III	ვალდებულებების კლება	8,398.6	8,089.0	96.3%	7.7%
გადასახდელების ჯამი		125,690.5	105,380.0	83.8%	100%

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები
(საკასო შესრულება - 105,380.0 ათასი ლარი)**



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები (საკასო შესრულება - 105,380.0 ათასი ლარი)



ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 71,679.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 77,401.9 ლარის 92.6%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 68.0%.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 8,489.4 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 8.1%,

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 15,768.0 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 15.0%-ია, მათ შორის:

მტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 182.7 ათასი ლარი.

მივლინებები _ 65.7 ათასი ლარი



ოფისის ხარჯები _ 655.2 ათასი ლარი.

წარმომადგენლობით ხარჯები _ 51.2 ათასი ლარი.

სამედიცინო ხარჯები _ ხარჯი არ გაწეულა.

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებით ხარჯები _ 2.5 ათასი ლარი

ტრანსპორტისა და ტექნიკისა ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები _ 408.4 ათასი ლარი.

სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურებაზე ხარჯებმა შეადგინა 14,402.2 ათასი ლარი.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 2,548.4 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 2.4%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 30,462.5 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 28.9%.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4,253.2 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის _ 4.0%.

სხვა ხარჯებზე მიიმართა 10,158.3 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 9.6%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 25,611.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 39,890.0 ათასი ლარის 64.2%-ია, მთლიანი გადასახდელების _ 24.3%.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 8,089.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 8,398.6 ათასი ლარის 96.3%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში _ 7.7%.



პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტე- ბული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრუ- ლების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	22,374.8	21,543.6	831.2	96.3%
01 01	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო	1,863.0	1,639.8	223.2	88.0%
01 02	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია	9,765.1	9,589.5	175.6	98.2%
01 03	სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	10,610.1	10,199.3	410.8	96.1%
01 04	კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირება	25.3	25.3	0.0	99.9%
01 05	სარეზერვო ფონდი	21.6		21.6	
01 06	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	89.7	89.7	0.0	100.0%
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	40.0	30.2	9.8	75.4%
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	66,706.7	53,382.9	13,323.8	80.0%
03 01	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება	28,510.5	24,275.0	4,235.5	85.1%
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	25,441.7	20,593.3	4,848.4	80.9%
03 03	ქალაქის კეთილმოწყობა	12,754.5	8,514.6	4,239.9	66.8%
04 00	განათლება	12,091.9	11,013.8	1,078.1	91.1%
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	15,900.9	11,636.5	4,264.4	73.2%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	10,607.1	6,597.9	4,009.2	62.2%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4,968.2	4,727.4	240.8	95.2%
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	325.6	311.3	14.3	95.6%
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	7,109.8	6,306.8	803.0	88.7%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,912.3	1,714.2	198.1	89.6%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	5,197.5	4,592.6	604.8	88.4%
07 00	სხვადასხვა ღონისძიებები	1,466.4	1,466.3	0.1	100.0%
07 01	ციტრუსის ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობა	1,466.4	1,466.3	0.1	100.0%
გადასახდელების ჯამი		125,690.5	105,380.0	20,310.4	83.8%

**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება
(პროგრამული კოდი 01 00)**



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01)

ხარჯებმა შეადგინა 1,639.8 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,863.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 88.0%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1,248.6 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 317.8 ათასი ლარი, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 90.0 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე - 29.1 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 85.6 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 7.7 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე - 1.7 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 87.5 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 16.2 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 16.6 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 8.7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 47.5 ათასი ლარი, ვალდებულებების კლებაზე - 0.5 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) ხარჯებმა შეადგინა 9,589.5 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 9,765.1 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 98.2%. აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 7,240.8 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 1,794.1 ათასი ლარი, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 92.7 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე - 36.6 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 569.6 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 43.5 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე - 0.8 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 321.0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 729.9 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 186.5 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 20.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 348.1 ათასი ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03)

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 801.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 801.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.9%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა 192.1 ათასი ლარის და სესხის ძირი თანხის დაფარვა - 609.6 ათასი ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:

დადგენილ ვადაში შესრულებული საკრედიტო ვალდებულებები; შემცირებული იქნა სასესხო ვალდებულება - 609.6 ათასი ლარით.



გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 8,698.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 8,334.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.9%.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა სესხის მომსახურების საპროცენტო ხარჯების დაფარვა - 2,338.2 ათასი ლარის და სესხის ძირი თანხის დაფარვა - 5,996.0 ათასი ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:

დადგენილ ვადაში შესრულებული საკრედიტო ვალდებულებები; შემცირებული იქნა სასესხო ვალდებულება - 2,553.4 ათასი ევროთი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,110.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,063.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.8%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა - 18.1 ათასი ლარის ოდენობით და სესხის ძირი თანხის დაფარვა - 1,045.3 ათასი ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:

დადგენილ ვადაში შესრულებული საკრედიტო ვალდებულებები; შემცირებული იქნა სასესხო ვალდებულება - 447.7 ათასი ევროთი.

კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 01 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 25.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 25.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100.0%.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირების მომსახურების ფარგლებში გაწეული მომსახურების დაფარვა.

➤ მიღწეული შედეგები:

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების გაუმჯობესება;



წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (პროგრამული კოდი 01 06)

აღნიშნული ფონდის წლიური ასიგნება 89.7 ათას ლარს შეადგენდა. გეგმა შესრულდა 100%-ით. რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 ივლისის #2-230/2013 და 14 ნოემბრის №3-99/14 სააღსრულებო ფურცელის, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2014 წლის 01 ივლისის A14045579-004/001 სააღსრულებო ფურცელის აღსრულებაზე მიიმართა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

პრიორიტეტი: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 40.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 30.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 75.4%.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა აღრიცხვა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება (689 წვევამდელი). ტრანსპორტირება მოიცავდა ასევე თანმდევ მომსახურებას (მსუბუქ კვებას).

➤ მიღწეული შედეგები:

არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის ქ. ბათუმში წვევამდელთა და სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია.

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 20,442.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 17,576.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86.0%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - განხორციელდა ქალაქის ასფალტირებულ ქუჩებში ორმოების შეკეთება ცხელი ა/ბეტონით - 9250 კვ.მ.; გარემონტდა რკინა-ბეტონის ფილები (ზომით 6მX2მ) - 1500 კვ.მ.; შეიცვალა უვარგისი გრუნტი 100 კუბ.მ.

არასასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - ქალაქის ქუჩები შეკეთდა ქვიშა-ხრემოვანი ნარევით - 114335 კვ.მ, ქალაქის ქუჩები შეკეთდა ქვიშა-ხრემოვანი ნარევის გარეშე - 76507 კვ.მ, არასასფალტირებულ ქუჩებსა და გზებზე ამოღებულ იქნა უვარგისი გრუნტი და შეივსო ბუნებრივი ქვიშა-ხრემოვანი ნარევით- 455 კვ.მ;

ბაგრატიონისა და ერისთვის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე) – 525 გრძ.მ.-ზე ეწყობა ორმომართულებიანი სავალი ნაწილი გამყოფი ზოლით, რისთვისაც შესრულდა შემდეგი სამუშაოები: გატანილ იქნა 4300 კუბ.მ. სამშენებლო ნარჩენი და გრუნტი, მოხდა ლითონის ავტოფარეხებისა და სათავსოების დემონტაჟი 12 ტ., მოეწყო კანალიზაციის ჭები, სულაბერიძიდან შავშეთის ქუჩამდე მოხდა გრუნტის დამუშავება-გატანა 53398,00 კუბ.მ., მოხდა ბალასტის შემოტანა და დატკეპნა 32 748,2 კუბ.მ. ასევე განხორციელდა მაღალი ძაბვის საჰაერო ხაზების დემონტაჟი; სხვადასხვა კვეთის კაბელებისა და ანძების დემონტაჟი; ახალი მიწისქვეშა ხაზების გაყვანა; სატრანსფორმატორო ქვესადგურის დემონტაჟი და ახალის მშენებლობა.

ძველი ბათუმის ქუჩების გაფართოება - დასრულდა მ. აბაშიძის (კ. გამსახურდიას ქუჩიდან ზ. გამსახურდიას ქუჩამდე) ქუჩის სავალი ნაწილის გაფართოება - მოხდა 460 გრძ.მ. 20X25 სმ. ბაზალტის ბორდიურის დემონტაჟი და 338 გრძ.მ. 30X10 სმ. გრანიტის ბორდიურის მონტაჟი. გამოთავისუფლებული ადგილის შეივსო 118,3 კვ.მ. გრანიტის ქვაფენილით, ზ. გამსახურდიას ქუჩის სავალი ნაწილის გაფართოება - მოხდა 1175 გრძ.მ. 20X25 სმ. ბაზალტის ბორდიურის დემონტაჟი და 928,4 გრძ.მ. 30X10 სმ. გრანიტის ბორდიურის მონტაჟი. გამოთავისუფლებული ადგილი შეივსო 325 კვ.მ. გრანიტის ქვაფენილით და ქუთაისის ქუჩის სავალი ნაწილის გაფართოება - 863 გრძ.მ. 20X25 სმ. ბაზალტის ბორდიურის დემონტაჟი და 561,2 გრძ.მ. 30X10 სმ. გრანიტის ბორდიურის მონტაჟი. გამოთავისუფლებული ადგილი შეივსო 197 კვ.მ. გრანიტის ქვაფენილით

ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების კაპიტალური რემონტი - განხორციელდა აეროპორტის გზატკეცილის N55-ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - მოეწყო - 28 გრძ.მ.-ზე რკინა-ბეტონის ანაკრები სანიაღვრე არხი რკინის ცხაურით, მოეწყო 41 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიური, დაიგო 303 კვ.მ. 5 სმ სისქის დეკორატიული ფილა, მოეწყო 328 კვ.მ.-ზე კორდი; კობალაძის ქუჩის კეთილმოწყობა - მოეწყო 1005 გრძ.მ. ქუჩის მონაკვეთზე 1289 კვ.მ. 5 სმ ა/ბეტონის საფარი, 8410 კვ.მ. 5 სმ სისქის ა/ბეტონის საფარი; კ. აფხაზის ქუჩის მონაკვეთის მოასფალტება - 1005 გრძ.მ. ქუჩის მონაკვეთზე 1289 კვ.მ. 5 სმ სისქის მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარის მოწყობა ქვედა დაზიანებულ ფენაზე, 8410 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარის მოწყობა ქვედა დაზიანებულ ფენაზე; ურეხის მიმართულებით შარაშიძის ქუჩის მონაკვეთის მოასფალტების სამუშაოები - 650 გრძ.მ. ქუჩის მონაკვეთზე დაიგო 2950 კვ.მ. 5 სმ ა/ბეტონის საფარი, მოეწყო სანიაღვრე 380 გრძ.მ.-ზე; ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე გზების მოწყობა - ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე ქუჩებისა



და გზების პრობლემატურ მონაკვეთებზე 10-12 სმ. სისქის ბეტონის საფარის დაგება - 4767,03 გრძ.მ.-ზე 3613 კვ.მ.; თამარ მეფის გამზირზე ზღვისპირა ტროტუარის მონაკვეთზე არსებული მოაჯირის დემონტაჟი და ზედა ნაწილში არსებულის ანალოგიური პარაპეტის მოწყობა - განხორციელდა არსებული ალუმინის მოაჯირის დემონტაჟი დასაწყობებით - 232,53 კვ.მ.; განათების ბოძებზე მოწყობილი გრანიტის ფილების დემონტაჟი დასაწყობებით - 62 კვ.მ.; ბეტონის პარაპეტის მოწყობა - 81 კვ.მ.; პარაპეტის მოპირკეთება გრანიტის ფილებით სისქით 3სმ - 410 კვ.მ.; დეკორატიული მოაჯირის მოწყობა - 9,87 კვ.მ. (15 გრძ.მ.). კიბეებზე და პანდუსებზე ბეჭდური ბეტონის მოწყობა გლინულის ბადით სისქით 4 სმ - 26,8 კვ.მ.; გოგებაშვილის ქუჩის გზაგამყოფ ზოლში დეკორატიული დამცავი ღობის მოწყობა - მოეწყო საშუალო კონფიგურაციის 375,2 გრძ.მ., რთული კონფიგურაციის - 1374,8 გრძ.მ. დეკორატიული დამცავი ღობე; დასრულდა მელიქიშვილის ქუჩაზე (რუსთაველის ქ-დან მ. აბაშიძის ქ-მდე) ტროტუარის კეთილმოწყობა, სადაც მოეწყო - 1 707 კვ.მ. გრანიტის ფილა (მათ შორის 954 კვ.მ. რუხი გრანიტის ფილა და 753 კვ.მ. მუქი რუხი გრანიტის ფილა), მოეწყო 213 გრძ.მ. 80X150 ბაზალტის ბორდიური, აგრეთვე მოეწყო გაზონებზე 451 კვ.მ. კორდი; დასრულდა ჰელიმიძის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები: მოეწყო ბეტონის ბორდიური 257 გრძ.მ.; დაიგო 2990 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარი, ჰელიმიძის ქუჩის I შესახვევში დაიგო 1493 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარი, ჰელიმიძის ქუჩის II შესახვევში დაიგო 225 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარი; დასრულდა ჭავჭავაძისა და ტბ. აბუსერიძის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგების და წრიულის მოწყობისათვის სამუშაოები: დაიგო 55980 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარი, დაიგო 1300 კვ.მ. 5 სმ სისქის მსხვილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარი, მოეწყო 10400 კვ.მ. ორშრიანი დეკორატიული ფილები, მოეწყო 4045 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიური, მოეწყო გზაგამყოფ ზოლში 785 გრძ.მ. 80X150-ზე ბაზალტის ბორდიური, მოეწყო ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის წრიულზე უსაფრთხოების 7 კუნძული, განხორციელდა სამუშაოები დემონტაჟი/მონტაჟი რკინა-ბეტონის ჭების 68 ცალის (სანიაღვრე - 22 ცალი, საკნალიზაციო - 46 ცალი) და მათი ზომების მოყვანა საპროექტო ნიშნულამდე; მოეწყო ზედადელეს ქ. #54-ის მიმდებარედ გზის სავალ ნაწილზე საყრდენი კედლის მოწყობა დამცავი გაბიონებით ყორე ქვით 676 კვ.მ. სიგრძით - 25 გრძ.მ. სიმაღლით 6 გრძ.მ.; თამარ მეფის ქუჩის გზაგამყოფ ზოლში მოეწყო დეკორატიული დამცავი ღობე - 1244,6 გრძ.მ.; ჭავჭავაძისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების კვეთაში მოეწყო გზის საფარი შავი ბაზალტის ქვაფენილით ზომით (8÷12)X(8÷12)X(8÷12)სმ - 7,6 კვ.მ., გზა 14 სმ სისქის ბეტონის საფარით - 10,8 კვ.მ. ტროტუარზე მოეწყო ბეტონის ფერადი დეკორატიული ფილა სისქით 6სმ - 178 კვ.მ.-ზე, მოეწყო ბაზალტის ბორდიური 20X15-ზე (წახნაგის მოჭრით) - 7 გრძ.მ.; ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ტროტუარებზე ხეების ირგვლივ მოეწყო ჩამკეტები ზომით 80X150 მმ. ბაზალტის ბორდიურის მოწყობა - 10 ქუჩაზე, ესენია (გრიბოედოვის ქ. 1329 გრძ.მ. გორგასალის ქ. 1652,9 გრძ.მ. ვაჟა ფშაველას ქ. 932,5 გრძ.მ. ჭავჭავაძის ქ. 1179 გრძ.მ. დ. თავდადებულის ქ. 746 გრძ.მ. 26 მაისის ქ. 569,9 გრძ.მ. მელიქიშვილის ქ. 293 გრძ.მ. ლ. ასათიანის ქ. 333,3 გრძ.მ. რუსთაველის ქ. 60 გრძ.მ. ინასარიძის ქ. 314,8 გრძ.მ.) სულ - 7410,40 გრძ.მ.; ჭავჭავაძის ქუჩაზე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტროტუარის კეთილმოწყობა მოეწყო 8,3 გრძ.მ. 20X15 სმ ბაზალტის ბორდიური, - 105 კვ.მ. ფერადი 30X30X6 სმ დეკორატიული ფილა და 120



კვ.მ. 60X40X5 სმ გრანიტის ბუნებრივი ფილა; ასევე დაფინანსდა წინა წელს განხორციელებული სამუშაოებზე დაკავებული საგარანტიო თანხების დაბრუნება;

აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია - დასრულდა დავით აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია, მოეწყო 15X30-ზე 3 209 გრძ.მ. და 10X20-ზე 807 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიურები, დაიგო 27 461 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, დაიგო 8 926 კვ.მ. ორ შრიანი 6 სმ-იანი დეკორატიული ფილა და 608 კვ.მ მწვანე საფარი (კორდი), გაიმართა სანიაღვრე ქსელი სხვადასხვა დიამეტრის რკ. ბეტონის მილებით 3230 გრძ.მ.-ზე, დამონტაჟდა 48 ცალი გარე განათების ბოძი, მოეწყო ავტობუსის გაჩერებები, ავტომობილების სადგომები;

ქალაქის ქუჩებში ვიდეო-კონტროლის სისტემის დანერგვა - ვიდეოკამერების სისტემისათვის აშენდა შენობა, ქალაქის ტერიტორიაზე ქუჩებში დამონტაჟდა 215 ც. სათვალთვალ ვიდეო კამერა;

ტაბიძის ქუჩის (ლეონიძის ქუჩიდან აღმაშენებლის ქუჩამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები - კეთილმოეწყო დეკორატიული ორშრიანი ფილებით ტროტუარი 5 115 კვ.მ., ბორდიური- სხვადასხვა ზომის (150X80 - 120 გრძ.მ.; 150X300 - 1410 გრძ.მ.; 200X100 - 532 გრძ.მ.) საერთო ჯამში 2 061 გრძ.მ., გაზონებზე - კორდი 2 920 კვ.მ.-ზე, მოეწყო 1 032 გრძ.მ. დახურული სანიაღვრე სისტემა და 58 ცალი ჭა, 147 გრძ.მ.-ზე მოეწყო საკანალიზაციო სისტემა და 18 ცალი ჭა, დაიგო ა/ბეტონის წვრილმარცვლოვანი 5 სმ. სისქის 1022 კვ.მ. და მსხვილმარცვლოვანი 7 სმ. 1022 კვ.მ. საფარი;

გრიგოლ ფერაძის ქუჩის კეთილმოწყობა - მოეწყო 3 ცალი საკანალიზაციო ჭა; მოეწყო სანიაღვრე არხი ჩაიღო სანიაღვრე მილი დ-200 275 გრძ.მ.; სანიაღვრე ჭა 11 ცალი; მოეწყო ბეტონის ბორდიური 466 გრძ.მ., წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი სისქით 5 სმ 2377,4 კვ.მ.; არსებული ასფალტბეტონის საფარის ორმულები შეკეთდა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის 5 სმ. სისქის ასფალტით 250 კვ.მ.;

გენ. ა. აბაშიძის ქუჩის მონაკვეთის (ინასარიძის ქუჩიდან ტბ. აბუსერიძის ქუჩამდე) კეთილმოწყობა - დაიგო 4 109,33 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი, მოეწყო 1 766,41 კვ.მ. დეკორატიული ფილები, მოეწყო 552 გრძ.მ. 300X150 ბაზალტის ბორდიური და არსებული ნარგავების ირგვლივ 83,9 გრძ.მ. 80X150-ზე ბაზალტის ბორდიური, მოხდა დემონტაჟი/მონტაჟი (34 ცალი) რკინ-ბეტონის ჭების და მათი ზომების მოყვანა საპროექტო ნიშნულამდე 10,88 კუბ.მ.-ზე, მოეწყო გაზონის კორდი 65 კვ.მ. ფართობზე;

ქ. ბათუმში ანგისისა და გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩების შემაერთებელ ხიდზე მოაჯირების მოწყობა - ანგისისა და გრ. ლორთქიფანიძის ქუჩების შემაერთებელ ხიდზე დამონტაჟდა 54 გრძ.მ.-ის სიგრძის და 1,1 გრძ.მ. სიმაღლის ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი;

შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის გზაგამყოფ ზოლში დეკორატიული დამცავი ღობის მოწყობა - გახორციელდა გზაგამყოფ ზოლში 2002 გრძ.მ. დეკორატიული დამცავი ღობის მოწყობა;

გენ. კვინიტაძის ქუჩის კეთილმოწყობა - 1) დაიგო წვრილმარცვლოვანი 5 სმ. ა/ბეტონის საფარი - 7 649 კვ.მ.-ზე; მოეწყო რკ. ბეტონის საყრდენი კედელი 35 გრძ.მ.-ზე;

გ. შერვაშიძის ქუჩის და შესახვევების კეთილმოწყობა - გ. შარვაშიძის ქუჩაზე დაიგო 5 536,4 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი 813 გრძ.მ.-ზე, მოეწყო დახურული სანიაღვრე გოფირებული პლასტმასის მილით დ-500-იანი - 90 გრძ.მ.-ზე, დ-200-იანი კი 1 510 გრძ.მ.-ზე, მოეწყო სანიაღვრე ჭა 57 ცალი, მოეწყო ბეტონის 150X300 ბორდიურები 1 310 გრძ.მ.-ზე; 2) გ. შერვაშიძის I შესახვევში დაიგო 1



427,3 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი 3300 გრძ.მ-ზე; 3) გ. შერვაშიძის II შესახვევში დაიგო 822,6 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი 200 გრძ.მ-ზე, მოეწყო დახურული სანიაღვრე დ-500-იანი გორფირებული პლასტმასის მილით 42,5 გრძ.მ.-ზე და ღია სანიაღვრე არხი 39 კუბ.მ. მოცულობით, მოეწყო რკ. ბეტონის სანიაღვრე ჭა 3 ცალი; 4) გ. შერვაშიძის III შესახვევში დაიგო 1 163,0 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი 200 გრძ.მ-ზე, მოეწყო რკ. ბეტონის ღია სანიაღვრე არხი 44,5 კუბ.მ. მოცულობით;

ქ. ბათუმში ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა - დაიგო წვრილმარცვლოვანი 5 სმ. ა/ბეტონის საფარი - 4 228 კვ.მ.-ზე; მოეწყო რკ. ბეტონის მონოლითური სანიაღვრე არხი 321 გრძ.მ.-ზე;

ბეთლემის ქუჩის, სხალთის ქუჩისა და მისი შემაერთებელი ქუჩების ასფალტირება - 780 გრძ.მ.-ზე, დაიგო 4 770 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი, მოეწყო რკ. ბეტონის ღია სანიაღვრე არხი ცხაურით 426 გრძ.მ., მოეწყო 4 ცალი რკ. ბეტონის ცხაურიანი სანიაღვრე ჭა., მოეწყო დახურული სანიაღვრე ლითონის 500 მმ-იანი დიამეტრის მილი 17 გრძ.მ.-ზე, ხოლო სხალთის ქუჩისა და მისი შემაერთებელი ქუჩებზე 830 გრძ.მ.-ზე დაიგო 4 280 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი, მოეწყო რკ. ბეტონის ღია სანიაღვრე არხი ცხაურით 406 გრძ.მ.-ზე;

ხაბაძის ქუჩის კეთილმოწყობა - 100 გრძ.მ.-ზე დაიგო წვრილმარცვლოვანი 5 სმ. ა/ბეტონის საფარი - 5 211 კვ.მ.-ზე;

მდ. ბარცხანაზე საავტომობილო ხიდზე გზაგამყოფის ბარიერების გადაკეთება - მოხდა დემონტაჟი არსებული ბორბალმქცევი ძელის და დამონტაჟდა მოთუთიებული ლითონის ზღუდარები 40 გრძ.მ-ზე 75 სმ სიმაღლით.

➤ მიღწეული შედეგები:

დადგენილ ტექნიკური პარამეტრებთან შესაბამისობაში მოყვანილი გზის საფარი; რეკონსტრუირებული ქუჩები, ტროტუარები და სახიდე გადასასვლელები; ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებათა გამტარუნარიანობის ზრდა; ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,921.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 586.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 30.5%; **ახალი შუქნიშნებისა და პარკომეტრების შექმნა-მოწყობაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელ კომპანიაზე საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება სრულად არ განხორციელებულა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო, რამაც განაპირობა პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი.**

➤ პროგრამის აღწერა:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია - დაიხაზა ავტობუსის გაჩერება 162 ცალი, ავტო სატრანსპორტო საშუალებათა სავალი ნაწილი შეკეთდა 5მ2, ამოივსო ორმო(ბუკინი) 5მ2, ბორდიური შეკეთდა 423,3 5მ2, ბორდიური დამონტაჟდა 223,5მ2, ბორდიური შეიღება შავ თეთრად 834,4მ2, ბოძკინტი დამონტაჟდა



540ცალი, ბოძკინტი შეიღება 356ცალი, ბოძკინტი შეკეთდა 443, ტროტუარის ფილა დაეგო 156,3მ2, ტროტუარის ფილა შეკეთდა 831,75 მ2, საგზაო ნიშანი დამონტაჟდა 244 ცალი, საგზაო ნიშანი შეკეთდა 149 ცალი, ქვაფენილი მოიხრეშა 6476მ2, ქვაფენილი დაეგო 38მ2, არსებული ქვაფენილი შეკეთდა 3134,52 მ2, სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერი დამონტაჟდა 134,72 მეტრი, გამყოფი გაზონი (ბორდიური) დამონტაჟდა 43,5 მეტრი, გაითხარა არხი ელექტრო სადენისთვის 158 მეტრი, ქუჩის გამყოფ გაზონზე დაეგო ქვაფენილი 101 მ2, დაიხაზა საგზაო მონიშვნა (ნიშნული) 10463,37 მ2, ველობილიკზე დაიხაზა გვერდითი და გამყოფი თეთრი ზოლები 1034,4 მ2, ველობილიკის საფარი შეიღება წითლად 16005,9 მ2., შუქნიშანზე შეიცვალა: ავტომატის ამომრთველი 10 ცალი, ავტომატის ბუდე 4 ცალი, ელექტრო მაგნიტური გამშვები 95ცალი, დროის რელე 38 ცალი, ელექტრო სადენი 1149 მეტრი, ნათურა 908 ცალი, კონტაქტორი 25 ცალი.

სატრანსპორტო-საგზაო რეგულირების თანამედროვე საშუალებების დანერგვა - ქალაქის ცენტრალურ ნაწილში თანამედროვე საგზაო ნიშნების მონტაჟი (ბარათაშვილი-ჭავჭავაძე-წერეთელი); სკოლებთან და განსაკუთრებით გადატვირთულ ქუჩებში სიჩქარის შემზღუდავი (შემანელელებელი) ბარიერის შესყიდვა, მონტაჟი;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - სატვირთო ავტომანქანა Ford transit RWD 460G - 1 ერთეულის შესყიდვა; ექსკავატორ-დამტვირთავი New Holland B 90 B - 1 ერთეულის შესყიდვა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა გაუმჯობესებული და უსაფრთხო გადაადგილება;

მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 5,745.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5,745.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100.0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური ტრანსპორტის ტარიფის შენარჩუნების მიზნით, წლის განმავლობაში წარმოქმნილი შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტის" საოპერაციო დეფიციტის დაფარვა - 5,745.0 ათასი ლარის მოცულობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება;

შესაბამისი კატეგორიის მგზავრთა შეღავათიანი ტარიფით გადაადგილება.

ნაპირგამაგრებითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 401.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 367.3 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 91.6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ზღვის სანაპიროს მონაკვეთზე ნაპირსამაგრი სამუშაოები - დასრულდა მეზღვაურის ქ. #10-ში ხიდისა და საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სარეგულაციო კედლის მშენებლობა და არსებული ჯგბირის გამაგრება - 365,8 კუბ.მ. მონოლითური კედლის მოწყობა სიგრძით 40 მ. დამცავი კედლის მოწყობა ბეტონის ბლოკებისაგან 76 კუბ.მ. კალაპოტის ორივე მხარე შეივსო ბალასტით 342,5 კუბ.მ.; აეროპორტის გზატკეცილის #118-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ხიდთან მდინარეზე ჯგბირის მოწყობა - 66 კუბ.მ. მონოლითური კედლის მოწყობა სიგრძით 19 გრძ.მ. მდინარის მარჯვენა მხარეს, ბალასტით შევსება 166 კუბ.მ.;

პეტრე იბერის II ჩიხის #1-ში მდინარის ნაპირგამაგრება - მოეწყო 50,4 კუბ.მ. რკინა-ბეტონის დამცავი კედელი; შეივსო შემოტანილი 27 კუბ.მ. ბალასტით;

ნიჟარაძის ქუჩაზე მდინარე ბარცხანის წყალის მომიჯნავედ ხიდთან გაბიონური კედლის მოწყობა 102 გრძ.მ-ზე რიყის ქვით (გაბიონური კალათა უჯრედით 8X10 სმ ზომით 3,0X1,0X1,0; 3,0X1,0X0,5; მოთუთიებული, გალვანიზებული მავთულის სისქით 2,7მმ) 459 კუბ.მ. მოცულობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მდინარეების სანაპირო ზოლის ნაპირის გამაგრება.

კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2,342.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,984.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84.7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაცია - შესრულებულია - 50 000 გრძ.მ-ზე შლამის ამოღება-გატანა, მდინარეების ფსკერების გაწმენდა 1170 კუბ.მ.-ზე; გაიწმინდა 24 000 სანიაღვრე ჭა, ამოღებულია და გატანილია შლამი შლამწოვის საშუალებით, გაწმენდილია სანიაღვრე მილები ჭურვის გატარებით შესრულებულია სამუშაოები 10 400 გრძ.მ-ზე, გაწმენდილია დახურული არხები შლამის ამოღებით და გატანით შესრულებულია სამუშაოები 2 500 გრძ.მ-ზე, შეკეთდა 387 ცალი სანიაღვრე ჭა, ზღვაში გასასვლელი არხების გაწმენდა განხორციელდა მძიმე ტექნიკით 1 000 სთ., დაზიანებული გადახურვის ფილები შეიცვალა 223,14 კვ.მ მოცულობით, შესრულდა 390 ლიტრი ქიმიური საშუალებით სანიაღვრე არხების სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავება.

შ. ხიმშიაშვილის ქ. #68, 70, 72, 74, 76 საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე დატბორვის აღმოფხვრის მიზნით გატარდა სამუშაოები (სანიაღვრე არხისა და გზის რეკონსტრუქცია) - 47,5 გრძ.მ.-ზე 47,5 კუბ.მ რკინა-ბეტონის დამცავი კედლით, მოეწყო 48 გრძ.მ. რკინის მოაჯირი;



აეროპორტის დასახლებაში შ. ხიმშიაშვილის ქუჩისა და აეროპორტის გზატკეცილის დამაკავშირებელი ახალი ქუჩის მიმდებარედ 240,6 კუბ.მ. რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა 80X60 კვეთით 400 გრძ.მ. ასევე მოეწყო 13 ცალი სანიაღვრე ჭა;

მესხეთის ქუჩის 1 370 გრძ.მ. სანიაღვრე სისტემის მოწყობა - მოეწყო 40X40 სმ. 72,6 კუბ.მ. რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი და 40X60 სმ. 33,6 კუბ.მ. რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი, მოეწყო საერთო ჯამით 106,2 კვ.მ. რკინის ცხაურა, ასევე მოეწყო დახურული სანიაღვრე 157,6 გრძ.მ. დ-500 მმ გოფირებული მილი და ჭის რკინა-ბეტონის ზომით (1,8X1,8X0,26 მ) 6 ცალი გადახურვის ფილა;

მესხეთის ქუჩის II ჩიხის სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები - მოეწყო რკ/ბეტონის ჭა 5ც. (2,9 კვ.მ.) და სანიაღვრე მილი 65 გრძ.მ.;

მაჭახლის ქ. #77-ში სანიაღვრე არხის დაზიანებული კედლის აღდგენა - 60 გრძ.მ.-ზე მოეწყო რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი 34,4 კუბ.მ.-ზე და ხიდზე დამონტაჟდა 16 გრძ.მ. რკინის მოაჯირი;

ნინოშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხში 240 კვ.-იანი ზომით (6,2კვ.მ.) ლითონის ფარის მოწყობის სამუშაოები, სადაც დამონტაჟდა 110 კვ.-იანი 2 ცალი ლითონის ფარის ჩარჩო, ლითონის გისოსი და 180 კვ.-იანი ლითონის ხუფი ზომით (1,0X1,0მ);

ნინოშვილის ქუჩაზე მთავარი სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა - მოეწყო მონოლითური რკ/ბ ღარები - 227 კვ.მ., განხორციელდა არხის გარე კედლების ჰიდროიზოლაცია - 1280 კვ.მ., მოეწყო ანაკრები რკ/ბ-ს გადახურვის ფილა B25 ბეტონით - 473 კვ.მ.;

ჰელიმიშის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა - ამოღებულ იქნა მიწა ხელით - 102 კვ.მ., მოეწყო 1 595 გრძ.მ. რკინის ცხაურა და შეიღება ანტიკოროზიული საღებავით, მოეწყო რკ/ბ-ს 4 ც. სანიაღვრე ჭა, მოეწყო 125 გრძ.მ. სანიაღვრე მილები და მიუერთდა სანიაღვრე ჭებს, ტრანშიე შეივსო 42 კვ.მ. შემოტანილი ქვიშა-ხრემით;

მარუხის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობა - მოეწყო 560 გრძ.მ.-ზე დ=300მმ.-იანი რკ/ბეტონის სანიაღვრე მილები, და 22 ცალი ბ-25 მარკის რკ/ბეტონის სანიაღვრე ჭა;

ფრიდონ ხალვაშის ქ. #131 და მაჭახლის ქუჩის დასაწყისში სანიაღვრე სისტემის მოწყობა - სადაც შესრულდა შემდეგი სამუშაოები: სანიაღვრე ქსელის მოსაწყობად გაიჭრა და გატანილი იქნა 18,65 კუბ.მ. ა/ბეტონის საფარი, მექანიზმების გამოყენებით სანიაღვრე მილების მოსაწყობად ამოიღებული და გატანილი იქნა 483 კუბ.მ. გრუნტი, მოეწყო 12 ცალი რკ. ბეტონის სანიაღვრე ჭა, ტრანშიეს შესავსებად შემოტანილი იქნა 353,4 კუბ.მ. ქვიშა-ხრემოვანი ნარევი, მოეწყო დ-300 გოფირებული მილებით სანიაღვრე არხი 271,4 გრძ.მ.-ზე, დაიგო ორი ფენა ა/ბეტონის საფარი 5-3 მმ-იანი სისქით - 266 კვ.მ.-ზე.;

მარეთის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობა. სადაც მოეწყო - 242 გრძ.მ.-ზე, 54,6 კუბ.მ. მოცულობით 40X40 სმ. რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი 120 კვ.მ. რკინის ცხაურით და რომელიც დაერთა სანიაღვრე ჭასთან;

ნინოშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხში 240 კვ.-იანი ზომით (6,2კვ.მ.) ლითონის ფარის მოწყობის სამუშაოები, სადაც დამონტაჟდა 110 კვ.-იანი 2 ცალი ლითონის ფარის ჩარჩო, ლითონის გისოსი და 180 კვ.-იანი ლითონის ხუფი ზომით (1,0X1,0მ);

➤ **მიღწეული შედეგები:**

გამართული სანიაღვრე ქსელები;

ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა.



წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 848.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 746.3 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 88.0%.

➤ პროგრამის აღწერა:

შპს „ბათუმის წყალი“-ს კაპიტალის გაზრდა - გაიზარდა შპს „ბათუმის წყალის“ საწესდებო კაპიტალი კაპიტალი გაიზარდა ჰიპოქლორიდის დანადგარების შეძენის მიზნით;

ა. შანიძის VI ჩიხიში ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭაბურღილისა და სასმელი წყლის სისტემის მოწყობა - განხორციელდა არტეზიული ჭის გაბურღვა 70-100 მეტრო სიღრმეზე; ტუმბოს ჭაბურღილში ჩაშვება 50 მეტრო სიღრმეზე, 10,28 ტ.-იანი სადაწნევო კომპის მოწყობა კიბით და ბაქნით (მოაჯირით), წყლის უჟანგავი ფოლადისგან 1 ცალი 30 კუბ.მ.-იანი სამომარაგო ავზის მონტაჟი; წყალსადენი დ-50-იანი პლასტმასის მილების მოწყობა 305 გრძ.მ.-ზე, წყალსადენი დ-63-იანი პლასტმასის მილების მოწყობა 12 გრძ.მ.-ზე.

➤ მიღწეული შედეგები:

რეაბილიტირებულ ზონებში უწყვეტი და საკმარისი სასმელი წყლის მიწოდება;

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 532.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 365.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 68.7%. მესხეთის ქუჩის I ჩიხის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის, მესხეთის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე დაერთების სამუშაოები კონტრაქტორის მიერ ვერ განხორციელდა დადგენილ ვადაში, ასევე მარეთის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოებისათვის დაგეგმილი იყო მიმწოდებელზე ავანსის გაცემა, რაც არ განხორციელებულა, რამაც განაპირობა პროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი

პროგრამის აღწერა:

ახალი საკანალიზაციო სისტემების მოწყობა - დასრულდა ხახულის I შესახვევში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა. სადაც მოეწყო - 438 გრძ.მ. დ-300 მმ. საკანალიზაციო გოფირებული მილი, 15 ცალი რკ/ბეტონის საკანალიზაციო ჭა თუჯის ცხაურით, 300 კუბ.მ. ქვაბული (ტრანშეა) შეივსო ქვიშა-ხრემით; მესხეთის ქუჩის კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები, სადაც მოეწყო დ-250 მმ საკანალიზაციო მილი - 550 გრძ.მ.; დ-500 მმ. საკანალიზაციო გოფირებული მილი - 871 გრძ.მ.; 125 გრძ.მ. დ-250 მმ., აგრეთვე მოეწყო 52 ცალი რკ/ბეტონის საკანალიზაციო ჭები თუჯის ცხაურებით;

კახაბრის ქ. #30-ის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო შამბოს მოწყობის სამუშაოები - მოეწყო 3 ერთეული რკ. ბეტონის სალექარი (2 ცალი - თითო 21,7 კუბ.მ. და 1 ცალი - 5,1 კუბ.მ.) მოცულობით, მოეწყო 9 ცალი საკანალიზაციო ჭა, რომელიც დაერთდა სალექარებზე 60 გრძ.მ.-ზე 300მმ-იანი და 40 გრძ.მ.-ზე 200მმ-იანი დიამეტრის გოფირებული მილებით.



➤ **მიღწეული შედეგები:**

არსებული საკანალიზაციო ქსელის გამართული მუშაობა;
საკანალიზაციო ქსელში არსებული დაზიანებების აღმოფხვრა.

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3,404.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,843.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 83.5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი დღგ-ს და სხვა გადასახადების თანადაფინანსება - განხორციელდა ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი დამატებული ღირებულების გადასახადის და სხვა გადასახადების თანადაფინანსება (ანაზღაურება);

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გამრიცხველიანება - სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების, წყალმომომების დაყენების სამუშაოები;

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-3 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით გაფორმებული განსაკუთრებული შეთანხმებით, წყლის და კანალიზაციის სისტემების მდგრადი ექსპლოატაციისათვის შპს „ბათუმის წყალი-ს“ სუბსიდირება;

საძიებო-კვლევითი სამუშაოები და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილ იქნა ჩაქვის წყლის გადამცემი მაგისტრალის რეაბილიტაციის და სანიაღვრე წყლების ზღვის სიღრმეში ჩაშვებისა და სატუმბო სადგურის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ჩატარებულ იქნა სანიაღვრე წყლების ზღვის სიღრმეში ჩაშვებისა და სატუმბო სადგურის მშენებლობისათვის საჭირო გეოლოგიური კვლევები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

რეაბილიტირებულ უბნებში სასმელი წყლის უწყვეტად და დანაკარგების გარეშე მიწოდება;

ნარჩენი წყლების სათანადო შეგროვება და გამწმენდ ნაგებობაში მიმართვა, გამწმენდი ნაგებობების სრული ფუნქციონირება ბიოლოგიური პროცესების დაცვით, ნარჩენი წყლების ეკოლოგიურად და ჰიგიენურად საიმედოდ გადამუშავება.

ქალაქის დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 6,883.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,666.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96.8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქის დასუფთავება - შესრულებულდა შემდეგი სამუშაოები დაგვა-დასუფთავება - 16 396 900 კვ.მ დღეში ორჯერ; ქალაქის ტერიტორიის დაგვა-



დასუფთავება - 14 006 850 კვ.მ დღეში ერთჯერ; ქალაქის ტერიტორიის დამატებით მესამეჯერ დასუფთავება - 836 360 კვ.მ; მწვანე საფარის დასუფთავება - 3 040 310 კვ.მ. დღეში ერთჯერ; ეზოების ფართის დასუფთავება თვეში სამჯერ - 7 823 520 კვ.მ; კონტეინერის გარეცხვა სულ 12 თვეში - 8 399 ცალი; ტერიტორიის მორწყვა სეზონურად დღეში ორჯერ - 8 612 500 კვ.მ (სულ 80 დღე); ქუჩებისა და მოედნების მორწყვა-მორეცხვა პერიოდულად (მერიის დაკვეთის შესაბამისად შესრულდა 112 რეისი; სანაპიროს ზოლის დასუფთავება თვეში 3-ჯერ - 1 959 600 კვ.მ (იანვარი-აპრილი, ოქტომბერი-დეკემბერი); მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა 12 თვის განმავლობაში; წლის განმავლობაში უტილიზაცია ჩაუტარდა 67 284 ტ. ნარჩენს.

ნარჩენების გატანა - წლის განმავლობაში გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენები - 67 776,9 ტ.;

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება - ხორციელდებოდა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ აბონენტებზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლის დარიცხვის, შესაბამისი ქვითრების ბეჭდვის და აბონენტთათვის მათი მიწოდების მომსახურების გაწევა;

მაწანწალა ცხოველების გაუვნებლობა - ცხოველების (მიუსაფარი ძაღლების-კატების) დაჭერა ტრანსპორტირება 6 550 ცალი; გაუკეთდა ევთანაზია (ჰუმანური დამინება ნარკოზით) 2 785 ცალი; სტერილიზაცია, ვაგცინაცია და დაბირკვა 1 890 ცალი; კასტრაცია, ვაგცინაცია და დაბირკვა 1 875 ცალი.

➤ მიღწეული შედეგები:

დასუფთავებული ქუჩები, ტროტუარები, ეზოები, მწვანე საფარი, პლაჟი; ესთეტიკურად მიმზიდველი გარემო მოსახლეობისა და ქალაქის სტუმრებისათვის;

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების გაუმჯობესება;

მაწანწალა ცხოველების პოპულაციის მართვა;

სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 185.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 183.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.1%.

➤ პროგრამის აღწერა:

დეზინსექცირებული ნაგავგამტარები, თვეში ერთჯერ - 129 ც.; დეზინსექცირებული ნაგავგამტარები დამატებით, თვეში ერთჯერ - 112 ც.; დეზინსექცირებული ნაგავშემკრები კონტეინერები, თვეში ერთჯერ - 15 400 ც.; დეზინსექცირებული მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლების სარდაფები და სადარბაზოები - 4 020 სახლი; დეზინსექცირებული ქალაქის ტერიტორია, თვეში ერთჯერ - 31,62 ჰა; დერატიზირებული ქალაქის ტერიტორია, თვეში ერთჯერ - 11 550 ადგილი; დეზინსექცირებული იტალიური ეზოები, მრავალბინიანი სახლების ეზოები



და სარდაფები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სხვენები თვეში ერთჯერ - 97 სახლი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

- გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა;
- ეკოლოგიურად დაცული გარემო;
- შემცირებული მღრღნელების რაოდენობა.

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3,462.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3,224.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93.1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განათების წერტილის მოვლა-ექსპლოატაცია - წლის განმავლობაში ყოველდღიურად ხორციელდებოდა 25 227 წერტილის და 309 ელ. გამანაწილებელი კარადის მოვლა-ექსპლოატაცია; შეიღება 1 900 ცალი ბოძი;

დაფარული იქნა გარე განათების წერტილების და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტების ელექტროენერჯის საფასური;

დასრულდა ლ. ასათიანის ქუჩის (პუშკინის ქ-დან მ. ვარშანიძის ქ-მდე) გარე განათების ბოძების მონტაჟი. დემონტაჟი გაუკეთდა ძველ ბოძებზე არსებულ 38 ცალ სანათს და დამონტაჟდა ახლად დამონტაჟებულ 38 ცალ ბოძზე;

დასრულდა დ. თავდადებულის ქუჩის (პუშკინის ქ-დან მ. ვარშანიძის ქ-მდე) გარე განათების ბოძების მონტაჟი. დემონტაჟი გაუკეთდა ძველ ბოძებზე არსებულ 41 ცალ სანათს და დამონტაჟდა ახლად დამონტაჟებულ 41 ცალ ბოძზე;

დასრულდა გარე განათების სამუშაოები დ. კაკაბაძის ქუჩაზე და შესახვევებში საერთო სიგრძით 660 გრძ.მ. და დამონტაჟდა გარე განათების 21 ბოძი 150 ვტ-იანი 21 ცალი სანათით;

დასრულდა - 10 სპორტულ მოედანზე მრიცხველებისა და კარადის შექმნა-მონტაჟი;

დასრულდა სვიშჩევსკის I და II ჩიხების გარე განათება - 8 ცალი ელ. განათების ბოძების და 150 ვტ. სანათების მოწყობა;

დასრულდა სვიშჩევსკის შესახვევის გარე განათება - 5 ცალი ელ. განათების ბოძების და 150 ვტ. სანათების მოწყობა;

დასრულდა სახოკიას ქუჩის ბოლო მონაკვეთის გარე განათება - 2 ცალი ელ. განათების ბოძებისა და 150 ვტ. სანათების მოწყობა;

დასრულდა რკინიგზის ჩიხის გარე განათება - 3 ცალი ელ. განათების ბოძებისა და 150 ვტ. სანათების მოწყობა;

დასრულდა სერგი მესხის III ჩიხის გარე განათება - 4 ცალი ელ. განათების ბოძების და 150 ვტ. სანათების მოწყობა;

დასრულდა მეზღვაურის ქუჩის გარე განათება - 28 ცალი ელ. განათების ბოძების და 150 ვტ. სანათების მოწყობა;

დასრულდა ნადიმ ნიჟარაძის I ჩიხის გარე განათება - 18 ცალი ელ. განათების ბოძების და 150 ვტ. სანათების მოწყობა;



დასრულდა ფრიდონ ხალვაშის II ჩიხის გარე განათება - 12 ცალი ელ. განათების ბოძების და 150 ვტ. სანათების მოწყობა;

დასრულდა თამარ მეფის ჩიხის გარე განათება - 3 ცალი ელ. განათების ბოძების და 150 ვტ. სანათების მოწყობა;

დასრულდა გენ. კვინიტაძის ქუჩის გარე განათების მოწყობის სამუშაოები. დამონტაჟდა და შეიღება 32 ცალი ანძა 30 ვტ. დიოდური სანათით, გაიჭიმა იზოლირებული 4X16-ზე ძალოვანი კაბელი 1030 გრძ.მ.-ზე;

დასრულდა შინდისის ქუჩის გარე განათების მოწყობის სამუშაოები. დამონტაჟდა და შეიღება 25 ცალი ანძა 30 ვტ. დიოდური სანათით, გაიჭიმა იზოლირებული 4X16-ზე ძალოვანი კაბელი 800 გრძ.მ.-ზე;

დასრულდა იოანე ლაზის ქუჩის სამუშაოები - დამონტაჟდა 51 ცალი გარე განათების ბოძი ალუმინის კორპუსის სანათით და დიოდური 30 ვტ. ნათურით; იოანე ლაზის ქუჩის I შესახვევის სამუშაოები - დამონტაჟდა 18 ცალი გარე განათების ბოძი ალუმინის კორპუსის სანათით და დიოდური 30 ვტ. ნათურით; იოანე ლაზის ქუჩის I ჩიხის სამუშაოები - დამონტაჟდა 9 ცალი გარე განათების ბოძი ალუმინის კორპუსის სანათით და დიოდური 30 ვტ. ნათურით; იოანე ლაზის ქუჩის III ჩიხის სამუშაოები დამონტაჟდა 6 ცალი გარე განათების ბოძი ალუმინის კორპუსის სანათით და დიოდური 30 ვტ. ნათურით

დასრულდა ნინოშვილის ქუჩის გაგრძელებაზე არსებული გარე განათების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები სადაც შესრულდა შემდეგი სამუშაოები: დამონტაჟდა და შეიღება ზეთოვანი საღებავით არსებული 2 ცალი გარე განათების ბოძი, დამონტაჟდა 1320 გრძ.მ. პლასტმასის 50X1,8 მილი, დამონტაჟდა ძალოვანი კაბელი 4X16-ზე 1470 გრძ.მ. და მოეწყო ელ. სადენი 2X2,5 48 გრძ.მ.

➤ მიღწეული შედეგები:

განათებული ქალაქის ქუჩები;

უზრუნველყოფილი ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უსაფრთხო გადაადგილება დღე-ღამის ნებისმიერ დროს;

გაუმჯობესებული ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახე ღამის პერიოდში;

ობიექტების მინათებით მიღებული მხატვრული ეფექტი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 5,283.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4,580.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86.7%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქალაქში არსებულ 43 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებზე არსებული ექსპლუატაციისათვის არა ვარგისიანი ან/და ახალი სახურავის შეკეთება-მოწყობა; შეიცვალა 1510.1 გრძ.მ. დაზიანებული წყალშემკრები ღარი და განხორციელდა 98 გრ/მ წყალსაწრეტი მილების შეკეთება-მოწყობა;

15 საცხოვრებელ სახლში განხორციელდა მოძველებულ (ექსპლუატაციისათვის არ ვარგისიანი) და ამორტიზებული შიდა წყლისა და საკანალიზაციო სისტემის შეცვლა და გამრიცხველიანება;



22 მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსში განხორციელდა ამორტიზირებული და შესაკეთებელი ლიფტის შეკეთება-რეაბილიტაცია და დამონტაჟდა ერთი ახალი ლიფტები;

კეთილმოწყობა და მოწესრიგდა მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოები და სკვერები: გარე-განათება დამონტაჟდა 16 მისამართზე, დაიგო ფილა - 6600 კვ.მ., ასფალტი - 13000 კვ.მ., ფანჩატური-155 ცალი; სკამი-250 ცალი, საქანელები 80 მისამართზე 140 ცალი.

27 ეზოში მოწყობა და მოწესრიგდა მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემა;

მრავალსართულიან/მრავალბინიან საცხოვრებელ სახლების სადარბაზოებში დამონტაჟდა: 1272 სენსორული განათების ბრა, ფირნიში 77 ცალი, 6 ცალი კოდირებული საკეტი;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დისტანციური პულტით მართვადი ბარიერი მოწყობა 6 მისამართზე;

წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კორპუსებსა და ქალაქში არსებული ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეძენა-მოწყობა, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (21 სპორტული მოედანი, 3 საბავშვო ატრაქციონი, 108 საბაღე სკამი, 35 ფანჩატური; სტადიონის ელექტროობა - 32 ცალი);

ქალაქში არსებულ 88 ავარიულ (სტიქიით დაზიანებული) სახლს ჩაუტარდა შეკეთება-რეაბილიტაცია (გამაგრება, აღდგენა, შეკეთება, მასალების შეძენა).

➤ მიღწეული შედეგები:

მოწესრიგებული, რეაბილიტირებული და განვითარებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და მათი ინფრასტრუქტურა;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებაში ამხანაგობების ჩართულობა (თანამონაწილეობა) და ამაღლებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს (პროგრამული კოდი 03 02 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2,500.0 ათასი ლარი; პროგრამა 2014 წელს არ განხორციელებულა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ნოემბრის №170 განკარგულებით დამტკიცდა „იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლ(ებ)ის მშენებლობის ადგილის გამოყოფისა და მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები რომელიც ითვალისწინებდა:

ა) „იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახლ(ებ)ის მშენებლობას ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში მდებარე ე.წ. 330-ე კვარტალში არსებულ ტერიტორიაზე;

ბ) აღნიშნული ტერიტორიის ბარაკული ტიპის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობებისაგან გამოთავისუფლებას და ამ მიზნით საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქონების მესაკუთრეებისათვის/დამკავებლებისათვის სანაცვლო საცხოვრებელი ფართების შეძენისათვის 1,00 კვ.მ



შენობა-ნაგებობის ფართზე 700 (შვიდასი) ლარის საკომპენსაციო თანხის გადახდას შემდეგი პირობის დაცვით: იმ შემთხვევაში თუ შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 50,00 კვ.მ-ზე ნაკლები იქნებოდა, თანხის გაიცემოდა 50,00 კვ.მ ფართზე ანგარიშით;

გ) ტერიტორიის დაგეგმარებას და იაფი სახლ(ებ)ის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას.

ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 10 ნოემბრის №170 განკარგულების შესრულების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ტერიტორიის აღწერა, შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი სამუაოები, არარეგისტრირებული ქონების მფლობელების დადგენა და მათი ცხოვრების ფაქტის დადასტურება, ასევე საჯარო რეესტრიდან მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა. საბოლოოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 01 დეკემბრის #841 ბრძანებით დამტკიცდა შენობა-ნაგებობების მესაკუთრეების/დამკავებლების სახელობითი სია, მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ფართების და თითოეული ოჯახისათვის გასაცემი საკომპენსაციო თანხის ოდენობა. საკომპენსაციო თანხის მთლიანმა ოდენობამ შეადგინა 2 937 389 ლარი, ხოლო ოჯახების რაოდენობა - 60.

გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეების/დამკავებლების უმრავლესობის მიერ უარი ითქვა დადგენილი კომპენსაციის მიღებაზე, ვერ გამოთვისულდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის საჭირო ადგილი, შესაბამისად ვერ განხორციელდა შენობის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ტექნიკური ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 560.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 383.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 68.5%. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზების გამო ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების შეფერხების პარალელურად ვერ განხორციელდა სრულად ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოები, რამაც გამოიწვია პროგრამის შესრულების (დაფინანსების) დაბალი მაჩვენებელი.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საპროექტო ორგანიზაციას გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აძლევს დავალებებს ქ. ბათუმში ქუჩების რეკონსტრუქციის, ეზოების, ქუჩების სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების განათების, სხვადასხვა (სპორტული მოედნების მოწყობის, სკვერებისა და პარკების გამწვანებისა და სხვა) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. დღევანდელი მდგომარეობით შედგენილია 175 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;



საექსპერტო მომსახურება - ორგანიზება გაეწია ექსპერტიზის განხორციელებას;

ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

➤ მიღწეული შედეგები:

საპროექტო მოთხოვნების, სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად განხორციელებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

შესრულებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხარისხის კონტროლის სიტემა.

ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 03 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 70.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 45.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 64.8%. პროგრამით გათვალისწინებული იყო შენობა-ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოები, რაც არსებული საჭიროების გამო სრულად არ განხორციელებულა, რამაც გამოიწვია პროგრამის შესრულების (დაფინანსების) დაბალი მაჩვენებელი.

➤ პროგრამის აღწერა:

ქალაქის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია - საკადასტრო სისტემაში აიზომა მიწის ნაკვეთი - 55 328 კვ. მეტრი; შენობა-ნაგებობა - 14 886,87 კვ. მეტრი;

შენობა-ნაგებობების დემონტაჟი - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა მარტივი ტიპის ღობეების დემონტაჟი 2642 მეტრი, ხის შენობების დემონტაჟი 470 კვ.მეტრი, ტალავერებისა და სხვა მცირე ზომის კონსტრუქციების დაჭრა აირმჭრელი აპარატურით - 7,5 მეტრი, რკინა ბეტონის ნაგებობების დემონტაჟი - 88,5 კუბური მეტრი;

სანოტარო მომსახურება - ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობით გასაფორმებელი ხელშეკრულებების სანოტარო დამოწმება და რეესტრში რეგისტრაცია;

ქ. ბათუმის საქალაქო სატრანსპორტო სისტემის ოპტიმიზაცია-დაგეგმარება - არსებული სამარშუტო ქსელის ოპტიმიზაცია და ახალი ქსელის დაგეგმარება M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის. შიდა საქალაქო გზებზე საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ფუნქციონირების დაბალანსება და მათი რაოდენობის განსაზღვრა M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის; შიდა საქალაქო ექსპრეს-ხაზების და გადასასვლელი ტერმინალების განსაზღვრა; M3 კატეგორიის მუნიციპალური ავტობუსებისათვის საფასო პოლიტიკის განსაზღვრა, მათ შორის დოტაცია და სუბსიდირება; M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების პარამეტრების განსაზღვრა, რომელიც მორგებული იქნება ბათუმის ტიპის ქალაქისათვის (ავტობუსის სიგრძე, სიგანე, სიმაღლე, სავარძლებოს რაოდენობა, ფერი და საწვავის ტიპი); ქ. ბათუმში M2



და M3 კატეგორიის ავტობუსების გაჩერებების ადგილების დაგეგმარება და განთავსება ახალი რეალობიდან გამომდინარე; ქ. ბათუმის სეციფიკურობიდან გამომდინარე, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების საჭირო ყოველდღიური რაოდენობის განსაზღვრა; ცალკეული სამარშუტო ხაზებისათვის მომსახურების დაწყებისა და დამთავრების დრო, მათმორის მოძრაობის ინტერვალის განსაზღვრით; ალტერნატიული საქალაქო ტრანსპორტის (ტრამვაი, ტროლეიბუსი) დაგეგმარება, პროექტირება. კვლევაში მონაწილე 1000 (ათასი) რესპოდენტის გამოკითხვის დოკუმენტაცია;

➤ **მიღწეული შედეგები:**

კოორდინატთა სისტემაში საკადასტრო სისტემით აგეგმილი მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები.

უსახური და უკანონო შენობებისაგან განთავისუფლებული ქალაქი.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 03 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 6,925.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3,875.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 56.0%. **საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, დაგეგმილი იყო ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში მდებარე ე.წ. 330-ე კვარტალში არსებულ ტერიტორიაზე „იაფი სახლის“ მშენებლობისათვის ტერიტორიის ბარაკული ტიპის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობებისაგან გამოთავისუფლება და ამ მიზნით საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქონების მესაკუთრეებისათვის/დამკავებლებისათვის სანაცვლო საცხოვრებელი ფართების შეძენისათვის 1,00 კვ.მ შენობა-ნაგებობის ფართზე 700 (შვიდასი) ლარის საკომპენსაციო თანხის გადახდა შემდეგი პირობის დაცვით: იმ შემთხვევაში თუ შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 50,00 კვ.მ-ზე ნაკლები იქნებოდა, თანხის გაიცემოდა 50,00 კვ.მ ფართზე ანგარიშით.**

გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეების/დამკავებლების უმრავლესობის მიერ უარი ითქვა დადგენილი კომპენსაციის მიღებაზე, აღნიშნული მიზნით ხარჯი არ გაწეულა. რამაც გამოიწვია პროგრამის შესრულების (დაფინანსების) დაბალი მაჩვენებელი.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქონების მესაკუთრეებზე საკომპენსაციო თანხების გაცემა ქ. ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 ნოემბრის #92 განკარგულების შესაბამისად. საკომპენსაციო თანხები გაიცა ავტოფარეხების დემონტაჟის სანაცვლოდ მათ მფლობელებზე ;

ბაგრატიონის ქუჩის მცხოვრებთათვის ბინის ქირის საკომპენსაციო თანხის გაცემა საერთო მოცულობით 94 630 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა ბაგრატიონის ქუჩის მცხოვრებ 48 ოჯახთან. ხელშეკრულებების შესაბამისად აღნიშნულ ოჯახებზე გაიცა საექსპოპრიაციო კომპენსაცია საერთო მოცულობით 3 778 911 ლარი. სანაცვლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 13 359 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი და 8 081,4 კვ. მეტრი შენობა-ნაგებობა. გაიცა ავროფარეხის კომპენსაცია - 1 800 ლარი.



➤ **მიღწეული შედეგები:**

ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა; ქალაქის მოწესრიგებული იერსახე.

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 403.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 219.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 54.4%. პროგრამა ითვალისწინებდა წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების დაფარვას, გამომდინარე იქედან რომ კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ დროულად არ იქნა წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაცია, საბიუჯეტო ანგარიშიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თანხის გადახდა არ მომხდარა, რამაც გამოიწვია პროგრამის შესრულების (დაფინანსების) დაბალი მაჩვენებელი.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა;

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული ქალაქის ინფრასტრუქტურა;

გაზრდილი ქალაქის ტურისტული პოტენციალი და საერთაშორისო ცნობადობა.

ქალაქის გაფორმება (პროგრამული კოდი 03 03 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 345.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 338.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98.1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სამობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება - დამონტაჟდა ნაძვის ხე, ფერადი გრილიანდები, მანათობელი ბურთები; ქალაქის ქუჩებში დამონტაჟდა წვიმები, ფიფქები, გირლიანდები, გვირგვინები, საახალწლო აქსესუარები;

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები - შეძენილ იქნა დროშები (მონტაჟით და დემონტაჟით); განხორციელდა ალმების დამზადება-მონტაჟი და შემდგომი დემონტაჟი გზაგამყოფ ზოლში მარტულლებისათვის - 1530 ც.; წლის განმავლობაში სამჯერ შეიკურა არასტანდარტული ზომის დროშები (9X6) - 8 ც.; ქალაქში არსებული წრიული სადგრებისათვის შეიკურა და დამონტაჟდა დროშები - 160 ც.; ქალაქში არსებული სტაციონალური ფლაგშტოკებისათვის შეიკურა, გამოიფინა და დემონტაჟი ჩაუტარდა ორმაგი ცვეთით დროშებს - 186 ც.; დამონტაჟდა ნუმერაციის აღმნიშვნელი დაფები - 700 ც.; დამზადდა და დამონტაჟდა ქუჩის ნუმერაციის აღმნიშვნელი პატარა დაფები - 300 ც.; დამზადდა და დამონტაჟდა შრიფტული მისასალმებელი და სააგიტაციო ბანერები, პლაკატები - 10 ც.; ხორციელდებოდა ძეგლებისა და ბიუსტების მოვლა-დასუფთავება მცირე რესტავრაციით; შენობა-



ნაგებობების ფასადები გაწმენდილ იქნა ლაქებისაგან - 5 028 კვ.მ.; დამზადებული და დამონტაჟებული იქნა ორმხრივი ბილბორდები - 6 ც.;

ფოიერვერკების შექმნა-გამოყენება - ფოიერვერკების სხვადასხვა დღესასწაულებთან დაკავშირებით გასროლა;

შ. რუსთაველის ბიუსტის გადატანა ბარბარეს ეკლესიის მიმდებარე სკვერის ტერიტორიიდან შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში - გრანიტის ფილების დემონტაჟი შემდგომი მონტაჟით - 12,5 კვ.მ.; ბიუსტის ბეტონის საძირკველის დემონტაჟი - 0,7 კუბ.მ.; ბიუსტის დემონტაჟი - 1 ც.; პიედესტალის მოწყობა - 0,9 კუბ.მ.; პიედესტალის მისასვლელის მოწყობა გრანიტის ბუნებრივი ფილებით - 12,5 კვ.მ.; ბიუსტის მოწყობა - 1ც.; გაზონებზე კორდის მოწყობა - 12 კვ.მ.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებული ქალაქი;
თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით გაფორმებული დღესასწაულები და სხვადასხვა ღონისძიებები.

პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,357.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 577.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 42.5%. **დაგეგმილი იყო ლერმონტოვის ქუჩაზე სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიაზე ავანსის სახით თანხის ჩარიცხვა, რაც არ განხორციელებულა, რამაც გამოიწვია პროგრამის შესრულების (დაფინანსების) დაბალი მაჩვენებელი.**

➤ **პროგრამის აღწერა:**

ახალი ბულვარიდან კვარიათამდე ფეხით მოსიარულეთა ზღვისპირა ბილიკის აღდგენა - მოეწყო ახალი მონოლითური ბეტონის კედელი 11 კუბ.მ.; სავალ ბილიკზე და ბაქნებზე მოეწყო ბეჭდური ბეტონი არმირებული საფარით 345 კვ.მ; გამორეცხილ ადგილებში შეივსო ბალასტი 2500 კუბ.მ. მოეწყო სატრანსპორტო ქვესადგურში გარე განათებისათვის აღრიცხვის ლითონის კარადა 1 კომპლექტი;

ზ. გორგილაძის ქუჩაზე მუზეუმის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა - განხორციელდა 612,71 გრძ.მ. 10X20 სმ ბაზალტის ბორდიურის მოწყობა, 512,31 კვ.მ. ბეტონის 30X30X6 სმ ფერადი დეკორატიული ფილის მოწყობა, 277,64 კვ.მ. გრანიტის ბუნებრივი ფილის მოწყობა, 10 ცალი განათების დეკორატიული ბოდის მონტაჟი;

ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში გზაგამყოფ ზოლში (სკვერში) დეკორატიული ფილებისა და ბაზალტის ბორდიურების მოწყობა - მოეწყო 166 კვ.მ. ბეტონის 30X30X6 სმ ფერადი დეკორატიული ფილა და 38,8 გრძ.მ. 15X30 სმ ბაზალტის ბორდიურები;

ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის კვეთაში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის და ტროტუარის კეთილმოწყობა -ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: არსებული ბეტონის აუზის დემონტაჟი - 5,2 კუბ.მ.; მოეწყო სანიაღვრე გოფირებული მილით დ-200 - 71,4 გ/მ.; რკ/ბეტონის სანიაღვრე ჭების მოწყობა (5 ცალი) - 1,56 კუბ.მ.; სანიაღვრე ღარის მოწყობა თუჯის ცხაურით - 2 კვ.მ.; ბაზალტის ბორდიურის მოწყობა 250X200 - 141 გ/მ.; ასევე 100X200 - 888 გ/მ; ბეტონის დეკორატიული ფილის მოწყობა - 3000 კვ.მ.; გაზონებზე კორდის მოწყობა - 300 კვ.მ.;



საპარკე სკამები 15 ცალი და სანაგვე ურნები 15 ცალის მოწყობა; შეიღება 42 ცალი განათების ბოძი; მოეწყოს აუზი რკ/ბეტონით - 6,7 კუბ.მ.; მოხდა აუზის გარე კედლების მოპირკეთება გრანიტის ფილით - 6,2 კვ.მ.; აუზის კედლის ჰორიზონტალური ზედაპირის მოპირკეთება გრანიტის ფილით - 4,7 კვ.მ.; აუზის შიდა კედლების და ფსკერის მოპირკეთება კერამიკული მოზაიკით - 20,2 კვ.მ.; დამონტაჟდა საცირკულაციო ტიპის ელ.ტუმბო - 1 ც.; დამონტაჟდა შადრევანის მფრქვეველი - 1 ც.;

საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (პარკის რეაბილიტაცია) - დასრულდა საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (პარკის რეაბილიტაცია) სადაც მოიჭრა გრუნტი ბორდიურებისა და კორდის მოსაწყობად, დაიგო 3 338,4 კვ.მ. კორდი და მოეწყო ბაზალტის ბორდიურის (100X200 მმ) - 98,8 გრძ.მ.;

ქ. ბათუმის ახალი ბულვარიდან კვარიათამდე ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის სავალი ბილიკების მოწყობა (მოპარული და დაზიანებული განათების აღდგენა) - დასრულდა ახალი ბულვარიდან კვარიათამდე ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის სავალი ბილიკების მოწყობა, სადაც შესრულდა შემდეგი სამუშაოები - 0,4 კვ. 4X25-ზე 40 გრძ.მ. და 4X10-ზე 200 გრძ.მ კაბელის გაყვანა არხში დამაბოლოებელი და შემაერთებელი რეიჰემის 16 ცალი ქუროს დაყენებით, არხში კაბელის მიმანიშნებელი ლენტის მოწყობით 240 გრძ.მ.-ზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შექმნილი მოსახლეობაზე ორიენტირებული ეკოლოგიური გარემო.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2,132.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,130.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა: 7 514.9 ათას კვ.მ მწვანე საფარის გაცელება, შეთეთრებულია არსებული 1925 ძირი ხე-მცენარების ჩაუმქრალი კირით, გასხვლა-გადაბელვითი სამუშაოები ჩატარდა 1753 ხე-მცენარეს. დეკორატიულიად გასხვლა და ფორმის მიცემა განხორციელდა 9083 ძირი ხე-მცენარეზე. გამხმარი და დავადებული 244 ძირი ხე-მცენარეები მოიჭრა-ამოიღო და ამოიძირკვა, 1470 ძირ ხე-მცენარეზე მოხდა გაზრდილი და გამხმარი ტოტების შეჭრა, განხორციელდა ნიადაგის გადაბარვა-გადათოხნა 39 782 კვ/მ-ზე. შეტანილი იქნა სასუქები და დამატებით მიწა 337 კუბ/მ. ჰერბიციდებით დამუშავდა 243000 კვ/მ; მოხდა მცენარეებისა და ყვავილების დამუშავება შხამქიმიკატებით; ჩატარდა ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში არსებული ხე-მცენარეების, ბუჩქოვნებისა და სეზონურად მოყვავილე ყვავილების მორწყვა (893 კვ.მ.) განხორციელდა ახალდარგული 354 ხე-მცენარის აკვრა ჭიგოებზე; ამოღებულია სეზონურად მოყვავილე ყვავილები 1 105 000 ცალი; ჩატარებულია ნიადაგის მოსამზადებელი სამუშაოები სეზონურად მოყვავილე ყვავილების დასარგავად და მათი გაფორმება დიზაინისა და სხვადასხვა ორნამენტების გამოყენებით. დარგულია სეზონურად მოყვავილე 1 200,000 ცალი ყვავილი და მიმდინარეობს მათი მოვლა-პატრონობა. გაზაფხულზე გაიხსნა 964 დიდი და პატარა პალმა; განხორციელდა 2 939 ძირ პალმაზე ტოტების შეჭრა; შეხვეული იქნა 4 670 ძირი



სხვადასხვა მცენარე. განხორციელდა სეზონურად მოყვავილე სხვადასხვა მცენარეების დათესვა-დაკალმება;

ყვავილების შეძენა - სეზონურად მოყვავილე 1 200 000 ცალი ყვავილის დარგვა და მათი მოვლა - პატრონობა;

შადრევნების მოვლა-შენახვა - გაიწმინდა და დასუფთავდა 7 ერთეული შადრევანი აგრეთვე პერიოდულად ხორციელდება მათი მიმდინარე რემონტი;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით ორგანიზაციისათვის შეძენილ იქნა 1 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა და 1 ერთეული 20 ცალი ზურგზე მოსაკიდი საცელავი აპარატი;

ხე-მცენარეების შეძენა - ქალაქის გამწვანებისათვის 1350 ძირი (ხე მცენარეების და ბუჩქების) ხე-მცენარეების შეძენა-დარგვა.

➤ მიღწეული შედეგები:

მოვლილი და გაფორმებული პარკები და სკვერები;

ქალაქის გაფორმება თანამედროვე ლანდშაფტური დიზაინით;

გაზრდილი მწვანე საფარის ფართობი.

ბათუმის განვითარების ფონდი (პროგრამული კოდი 03 03 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის განვითარების ფონდი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 74.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 68.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92.2%.

➤ პროგრამის აღწერა:

ბათუმის განვითარების პროექტების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება - ძველი ბათუმის ისტორიული ნაწილის ტერიტორიაზე შეიცვალა 36 ეზოს ჭიშკარი , 28 სადარბაზოს კარები და მოხდა 15 სადარბაზო კარებისა და 18 ეზოს ჭიშკრის რესტავრაცია –რეაბილიტაცია..

➤ მიღწეული შედეგები:

ქ. ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება;

ქალაქის ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 546.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 542.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.2%.

➤ პროგრამის აღწერა:

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - მოწესრიგდა ქალაქის ფარგლებში არსებული სასაფლაოები; რეგულარულად სუფთავდებოდა მისასვლელი ბილიკები; განხორციელდა სასაფლაოების გამწვანება და სასაფლაოების პერიმეტრის გასწვრივ დეკორატიული ნარგავების და დამცავი მწვანე ნარგავების გაშენება;

ქ. ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს მოსაწყობად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღიცივო დოკუმენტაციის მომზადება - განხორციელდება ქ. ბათუმისათვის



ახალი სასაფლაოსათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დაპროექტება და შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

განხორციელდა 14 უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა და ოთხი ცალი მეტალო-პასტმასის ჯიხურები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესდა სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მდგომარეობა;

შეიქმნა მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი მომსახურეობის დონე.

ტურისტული ობიექტების მართვა (პროგრამული კოდი 03 03 11)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 338.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 332.7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98.3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა შპს "ქ. ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს" მიმდინარე ხარჯების დაფინანსება - 307.2 ათასი ლარი; შპს "ქ. ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს" კაპიტალის ზრდა - 25.5 ათასი ლარი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საექსპლოატაციო მდგომარეობაში მყოფი ტურისტული ობიექტები.

პრიორიტეტი: განათლება

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

საბავშვო ბაღების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 9,268.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 9,255.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება - მიმდინარე ეტაპისათვის ქ. ბათუმში თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების სისტემა 28 საბავშვო ბაღისგან შედგება და 185 სააღმზრდელო ჯგუფს მოიცავს, რომელიც მთლიანობაში 6460 აღსაზრდელს ითვლის, საბავშვო ბაღების მართვა ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მეშვეობით ხორციელდება, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საკადრო რესუსი და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. საბავშვო ბაღებში სწორი სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების გზით აღსაზრდელისთვის შექმნილია ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;



საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვება ხორციელდებოდა "ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 ნოემბერის № 280/ნ ბრძანების შესაბამისად;

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შესყიდული იქნა საბავშვო ბაღების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკა და ინვენტარი: ავეჯი, სამზარეულოს ტექნიკა, სათამაშოები, პიანინოები და და მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა 11 საბავშვო ბაღს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საბავშვო ბაღებში სწორი სასწავლო-სააღმზრდელი პროცესი;

ბავშვის ინტერესებსა და უფლებებზე ორიენტირებული ფიზიკური და სოციალური გარემო.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია 04 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2,788.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,742.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 62.5%. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების ნაწილი (ინასარიდის ქუჩაზე მდებარე #8 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, კახაბრის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა) კონტრქტორი ორგანიზაციების მიერ განხორციელდა გეგმა-გრაფიკის დაგვიანებით. ასევე, დაგეგმილი იყო ტაბიძის ქ. 14-ში მდებარე შენობის საბავშვო ბაღად გადაკეთების სამუშაოების და მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე N5 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო-დაშენების სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიებზე ავანსის სახით თანხების ჩარიცხვა, რაც არ განხორციელებულა, რამაც გამოიწვია პროგრამის შესრულების (დაფინანსების) დაბალი მაჩვენებელი.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ნონეშვილის ქუჩა #60-ში მდებარე შენობა-ნაგებობის საბავშვო ბაღის შენობად გადაკეთება და მასზე სართულის დაშენება - დასრულდა ნონეშვილის ქ. #60-ში მდებარე შენობა-ნაგებობის 3 სართულიანი საბავშვო ბაღის შენობად გადაკეთება 51,5მX12,45მ ფართობზე. კეთილმოეწყო შენობა, დამონტაჟდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, და შენობა ჩაირთო გაზომომარაგების არსებულ ქსელში, საბავშვო ბაღი გათვალისწინებულია 200-240მდე ბავშვზე, გაკეთდა 8 ბავშვთა აქტიური ოთახი, თავისი საძინებლითა და გარდერობით, ეზოში მოეწყო სანიაღვრე სისტემა 95 გრძ.მ.-ზე, დაიგო ბეტონის ფილები 803 კვ.მ., დაიგო კორდი 410 კვ.მ. დამონტაჟდა 9 ცალი საპარკე სკამი, შემოიღობა ეზოს ტერიტორია დეკორატიული ღობით 193 გრძ.მ.-ზე;

ინასარიდის ქუჩაზე მდებარე #8 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები - მოეწყო მონოლითური რკინა ბეტონის სვეტები 13,14 კუბ.მ. მოცულობით, მოეწყო მონოლითური რკ. ბეტონის კოჭები 19,6 კუბ.მ. მოცულობით, მოეწყო რკ. ბეტონის გადახურვის ფილა 19,42 კუბ.მ. მოცულობით, ამოშენდა კედლები 20-იანი ბლოკებით 115,28 კუბ.მ.-ზე, შებათქაშდა კედლები 1 260 კვ.მ.-ზე, გადაიხურა სახურავი მეტალოკრამიტის ფურცლებით 650 კვ.მ.-ზე, ჩაისვა მეტალოპლასტმასის ფანჯრები 67 ცალი 406 კვ.მ. მოცულობით, მოეწყო ცივი წყლის შიდა გაყვანილობა, ელექტობა,



გათბობის გაყვანილობა. ბაღის ეზოში მოეწყო სანიაღვრე არხი 146 გრმ.მ.-ზე, დაისხა ბეტონი 100 კუბ.მ., და დაიგო ბეტონის ფილა 204 კვ.მ.-ზე, სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2015 წელს;

ანდრონიკაშვილის ქუჩაზე #13 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები - მოეწყო საძირკველი 17,14 კუბ. მოცულობით, მოეწყო საძირკველის კედელი 15,8 კუბ.მ. ასევე მონოლითური რკ.ბეტონის იატაკის ფილა 49,2 კუბ.მ. სვეტები, კოჭები, და გადახურვის ფილა სულ ჯამში 47,2 კუბ.მ., ამოშენდა კედლები 50,92 კუბ.მ.-ზე, მოეწყო რკ. ბეტონის კიბე 2,7 კუბ.მ.;

კახაბრის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა - ჩატარდა შემდეგი სახის სამუშაოები: ქვაბულის დამუშავება ექსკავატორით 574,8 კუბ.მ., მონოლითური რკ.ბეტონის საძირკველის ფილის მოწყობა 177,4 კუბ.მ., მონოლითური რკ.ბეტონის საძირკველის კედლის მოწყობა 38,9 კუბ.მ., მონოლითური რკ.ბეტონის სვეტების მოწყობა 54,1 კუბ.მ., მონოლითური რკ.ბეტონის კიბის დიაფრაგმის მოწყობა 51,5 კუბ.მ., მონოლითური რკ.ბეტონის I სართულის იატაკის ფილის მოწყობა 58,6 კუბ.მ., I, II, III სართულის გადახურვის ფილის მოწყობა 257,7 კუბ.მ., მონოლითური რკ.ბეტონის კიბის მოწყობა 11,6 კუბ.მ. კედლების აგება წვრილი სხვადასხვა სამშენებლო ბლოკებით 175,49 კუბ.მ, ჩაისვა 40 ცალი მეტალოპლასტმასის ფანჯრები;

გონიოში არსებული შენობის (საბავშვო ბაღის) სარეკონსტრუქციო სამუშაოები - კეთილმოეწყო ტერიტორია, დაიგო 63,6 კვ.მ. ბეტონის ორმრიანი დეკორატიული ფილა, კორდი 82,4 კვ.მ., დაიგო ხელოვნური ფერადი კაუჩუკის საფარი 65 კვ.მ. რომელზეც დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონი ზომით 4,5X4 მ. ფართობზე, მოეწყო ბორდიური 45,5 გრმ.მ. დაირგო 7 ცალი სხვადასხვა ჯიშის ხე, აშენდა დაცვის ჯიხური ზომით 2,3X2,3 მ., საბავშვო ბაღის შენობაში დამონტაჟდა ახალი ლითონის მოაჯირი 24,4 გრმ.მ., შემოიღობა ტერიტორია 30 გრმ.მ.-ზე, დაიდგა წყლის სარეზერვო 3 ტონიანი ავზი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

რეაბილიტირებული საბავშვო ბაღის 4 შენობა;

თანამედროვე და შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ბაზით საბავშვო ბაღები;

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის შექმნილი კეთილმოწყობილი გარემო.

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 04 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 5.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მხარდაჭერა - 'საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 10 მოსწავლე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ზოგადი განათლება ხელმისაწვდომი გახდა 10 მოსწავლისათვის.



ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 30.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 11.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 37.0%. პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმის შესაბამისად განხორციელდა ბენეფიციარების შერჩევა. პროგრამა იყო პილოტური, ამოქმედდა სექტემბრის თვიდან, რის გამოც დაფინანსების მაჩვენებელი არის დაბალი.

➤ პროგრამის აღწერა:

სტაჟირება - საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 10 მოქალაქე.

➤ მიღწეული შედეგები:

კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული სპეციალისტი.

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 295.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 291.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98.8%.

➤ პროგრამის აღწერა:

ბათუმის ადმინისტრაციებში შემავალ უბნებს შორის სპორტული თამაშები - თამაშები ჩატარდა სპორტის 4 სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი). თამაშები მიმდინარეობდა 22 აპრილიდან 26 მაისის ჩათვლით. მასში მონაწილეობა მიიღო ბათუმის ადმინისტრაციაში შემავალმა 13 უბანმა. გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები და სპეციალური პრიზები.

რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიში - ტურნირი ჩატარდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თანადაფინანსებით ბათუმის სასპორტო სკოლის ტანვარჯიშის დარბაზში 17-21 ივლისს. მასში მონაწილეობა მიიღო 8 ქვეყნის გუნდებმა. გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით, თასებით და დიპლომებით.

საერთაშორისო ტურნირი ბილიარდში - 22-26 ოქტომბერს ქ. ბათუმში, კლუბ „პირამიდაში“ ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბილიარდში. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო აღნიშნულ ტურნირში გამარჯვებულ სპორტსმენთა საპრიზო თანხით დაჯილდოვება. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა 6 ქვეყნის მობილიარდეები. (აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო) ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სულ 24 სპორტსმენმა. გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები. (I-ადგილი-6100 ლარი II-ადგილი-



4300 ლარი III-ადგილი-2600 ლარი IV ადგილი 1600 ლარი V-VIII-ადგილები 1350 ლარი). თანადადგინანსებელი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

სპორტული თამაშები სკოლებს შორის - შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 27 საჯარო და 7-მა კერძო სკოლამ. სულ 1200-მა მოსწავლემ. თამაშები ჩატარდა ჯგუფებში წრიული სისტემით, ხოლო პირველ და მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად გააგრძელეს თამაშები ოლიმპიური სისტემით. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, მედლები და დიპლომები. ასევე საუკეთესო 6 მწვრთნელი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით.

საერთაშორისო ტურნირი ტაეკვონდოში - შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოსა და თურქეთის გუნდები. სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ თასები, მედლები და სიგელები. აგრეთვე დაწესებული იყო გუნდური პირველობის თასი, რომელიც საქართველოს გუნდმა მოიპოვა.

საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მუხრან ვახტანგაძის თასზე - 4-6 ივლისს ჩატარდა 2014 წლის Fide-ს კალენდრის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის (მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 70 სპორტსმენმა). წონით კატეგორიებში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით, სიგელებითა და სპეციალური პრიზებით.

საერთაშორისო ტურნირი ვ. ალთაბაევის თასზე კალათბურთში - ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ტურნირი ჩატარდა ბათუმის სასპორტო სკოლის საკალათბურთო დარბაზში 25-28 სექტემბერს, მონაწილეობა მიიღო 4 გუნდმა. ღონისძიებაში მონაწილეობდა სამი უცხოური გუნდი (თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბათუმი, სულ 40 სპორტსმენი) გუნდურში პირველობა მოიპოვა ბათუმის გუნდმა (1-2-3- ადგილებზე). სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებითა და სიგელებით.

საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში - ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს, უკრაინის, სასომხეთის და ბულგარეთის ახალგაზრდული გუნდები. გამარჯვება ბათუმის გუნდმა მოიპოვა. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და სიგელებით.

საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში - ტურნირში მონაწილეობა მიიღო: საქართველოს, თურქეთის და სომხეთის გუნდებმა. გამარჯვება თურქეთის გუნდმა მოიპოვა. სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და სიგელებით.

საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში - ტურნირი ჩატარდა 4-6 ივლისს, მასში მონაწილეობა მიიღო, როგორც ქართველმა ასევე უცხოელმა მოცეკვავეებმა. (მონაწილეობდა მსოფლიოში N 1 წყვილი) გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

ახალგაზრდა სპორტსმენთა მხარდამჭერი ღონისძიებები - დაფინანსდა წარმატებული ახალგაზრდა ბათუმელი სპორტსმენები:

ტურნირი ჩოგბურთში მერიის თასზე - ტურნირი გაიმართა 27-29 ოქტომბერს. მონაწილეობა მიიღო 6 გუნდმა, (სასომხეთი, ყაზახეთი, უკრაინა, თბილისი, ქუთაისი, ბათუმი -სულ 24 სპორტსმენი). სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებითა და სიგელებით.

აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში - ჩატარდა აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის ფინალური ეტაპი. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, ლიტვის,



ლატვიის, რუსეთისა და უკრაინის გუნდები. საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები. საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ 7 000 ევროს ექვივალენტი ლარი.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირებისა და შეჯიბრებების ორგანიზება - ჩატარდა ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში: 1. დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ნარდში; 2. ვეტერანებს შორის ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობებში; 3. ტურნირი მინი ფეხბურთში სამინისტროებსა და უწყებებს შორის. გამარჯვებული სპორტსმენები და გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

საერთაშორისო ტურნირი ქვიშის რაგბში - ტურნირი ჩატარდა 9-11 ივლის ბულვარში არსებულ ქვიშის ფრენბურთის მოედანზე. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს, სომხეთისა და თურქეთის გუნდებმა. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სიგელები, მედლები და ფულადი ჯილდოები.

გენო მენაბდის სახელობის ტურნირი ფეხბურთში - ტურნირი ჩატარდა 16-20 ივლისს ბულვარში არსებულ ხელოვნურ საფარიან ფეხბურთის მოედანზე. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ვეტერან ფეხბურთელთა ექვსმა ნაკრებმა გუნდმა. (სულ 59 ვეტერანი სპორტსმენი) ტურნირი მიემდგვნა ცნობილი ბათუმელი ფეხბურთელის გენო მენაბდის ხსოვნას. ტურნირში გაიმარჯვა ბათუმის დინამოს ვეტერანთა გუნდმა. მონაწილეებს გადაეცათ თასები, მედლები და სიგელები. ასევე ვეტერანებისათვის სხვადასხვა საუკეთესო ნომინაციებში დაწესებული იყო პრიზები და ფასიანი საჩუქრები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გამოვლინდნენ პერსპექტიული სპორტსმენები;

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივ და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში მოხდა სპორტსმენტა წარმატებული გამოსვლა;

მოხდა უცხოელი სპორტსმენების გამოცდილების გაზიარება და დამყარდა კავშირი უცხოურ სპორტულ ორგანიზაციებთან.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3,915.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3,900.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შედეგი სპორტული კლუბები:

შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო ბათუმი“ - 2,041.8 ათასი ლარი;

შპს სარაგბო კლუბი „ბათუმი“ - 599.1 ათასი ლარი;

შპს ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“ - 90.3 ათასი ლარი;

შპს ხელბურთის კლუბი „ბათუმი“ - 161.5 ათასი ლარი;

შპს წყალბურთის კლუბი „ბათუმი“ - 80.0 ათასი ლარი;

შპს კალათბურთის კლუბი „ბათუმი-2010“ - 560.0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ - ბათუმის საცხენოსნო კლუბი - 150.0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ - ბათუმის ავტოდრომი - 75.1 ათასი ლარი;



ა(ა)იპ - საჭადრაკო კლუბი „ნონა“ – 142.3 ათასი ლარი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

კლუბები წარმატებულად გამოვიდნენ საქართველოს ჩემპიონატებში; ბათუმელი სპორტსმენები მოხვდნენ სხვადასხვა რანგის ნაკრებებში; გაიზარდა მაცურებელთა რაოდენობა.

სპორტის ზამთრის სახეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 970.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 928.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.7%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ზამთრის სპორტის სახეობათა და დახურული სპორტული დარბაზის მატერიალური ბაზის მოვლა პატრონობა - განხორციელდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ვარჯიშების ორგანიზება და შესაბამისი პირობების შექმნა;

სპორტული და გასართობი ხასიათის პროექტების დაგეგმვა და ორგანიზება - გაიმართა საახალწლო კონცერტები, როგორც ადგილობრივი ისე რაიონებიდან მოწვეული ბავშვებისათვის, გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, ტურისტების დაინტერესებისა და მოზიდვისათვის საინტერესო და სანახაობრივი კონცერტების ორგანიზება, საქველმოქმედო მიუსაფარ და უპატრონო ბავშვებისათვის შოუ-კონცერტების მომზადება;

უნიფორმებისა და ციგურების შეძენა - განხორციელდა სასცენო ზღაპრის გამირების ფორმების შეძენა, ციგურების შეძენა, სპეც. ფორმების შეძენა, გამოსასვლელი-საკონცერტო კაბებით უზრუნველყოფა და სხვა სპორტული ინვენტარი;

ინფრასტრუქტურის მოწყობა - გასახდელებისა და სხვა სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;

მატერიალური-ტექნიკური ბაზის განახლება - კომპიუტერული, ფოტო-ვიდეო აპარატურის და სხვა მანქანა-დანადგარების მოწყობილობების შეძენა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ბავშვებისა და მოზარდების მოზიდვა და ჩაბმა გამაჯანსაღებელ სპორტულ მეცადინეობებში;

სპორტულ და საჩვენებელ ღონისძიებებზე მაცურებელთა ზრდა.

სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 5,425.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,477.7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 27.2%. პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობა იმ ფაქტმა, რომ ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის სამუშაოები ვერ განხორციელდა არსებული პროექტის მიხედვით, ვინაიდან პროექტის



ღირებულება აღემატებოდა 10,0 მილიონ ლარს. ასევე, ტრიბუნები გათვლილი იყო 4000 მაყურებელზე. ამასთან, აჭარის მთავრობის მიერ დაიგეგმა 20000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობა, რამაც მოითხოვა სპორტული ბაზის მშენებლობის არსებული პროექტის გადაკეთება და მასშტაბების შემცირება, შესაბამისად გადაიწია სამუშაოების განხორციელების ვადამ. ასევე, სარაგბო სტადიონის მშენებლობა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში. ადგილობრივ ბიუჯეტში სარაგბო სტადიონის მშენებლობის მიზნით ფინანსური დახმარების თანხა სრულად ჩაირიცხა 2014 წელს, მაგრამ, სამუშაოები არსებული პროექტის მიხედვით უნდა დასრულდეს 2015 წელს. შესაბამისად, თანხის ნაწილი (2,849.1 ათასი ლარი) გადატანილი იქნა 2015 წლის ბიუჯეტში.

➤ პროგრამის აღწერა:

სპორტული მოედნების მშენებლობა - დასრულდა ანდრია პირველწოდებულის IX ჩიხში ზომით (38,4X24,8მ.) სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, დამონტაჟდა საფეხბუთო 2 კარი, თავისი განათებებით და ხელოვნური საფარით, აგრეთვე მოეწყო 10 ცალი სპორტული ტრენაჟორი; დასრულდა რუსთაველის ქ. #57-59-61 საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ ერთი დიდი ზომით (42X28 მ.) ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა, დამონტაჟდა საფეხბუთო კარები და საკალათბურთო ფარები, თავისი მაყურებელთა ტრიბუნით 55,5 კვ.მ. ფართობზე, თავისი 6 განათების ბოძით;

ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე საცხოვრებელ კომპლექსს "მაგნოლია"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქვიშის მოედანის კეთილმოწყობა - დასრულდა ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე საცხოვრებელ კომპლექსს "მაგნოლია"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქვიშის მოედანის კეთილმოწყობა. სადაც შესრულდა შემდეგი სამუშაოები: მოედანზე არსებული ქვიშის გარეცხვა და იქვე მეორე მოედანზე გაშლა; არსებული მოედნისათვის ქვიშის შემოტანა და გაშლა - 744 ტ.; არსებული ღობის შეკეთება; ახალი პლასტმასის სკამების მონტაჟი - 70 ც.; ლითონის კონსტრუქციების შეღებვა; შიდა სამღებრო სამუშაოები; ფასადის შეღებვა; ტერიტორიის გასუფთავება შტორმის შედეგად შემოტანილი ბალასტისაგან; ამოტეხილი ადგილების შევსება ბეტონით; სანტექნიკური სამუშაოები; ელექტრო სამუშაოები;

ქალაქ ბათუმში ზღვისპირა ზოლში ქვიშის საფარიანი სპორტულ სტადიონზე ტრიბუნების მოწყობა ანაკრები ლითონკონსტრუქციებით - დასრულდა ზღვისპირა ზოლში ქვიშის საფარიან სპორტულ სტადიონზე ანაკრები ლითონკონსტრუქციებით 448 სავარძლიანი ტრიბუნების მოწყობის სამუშაოები;

ქ. ბათუმში, კახაბრის უბანში, მაჭახლის ქუჩა N77-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მინი-მოედნის მოწყობა - დასრულდა კახაბრის უბანში, მაჭახელას ქ. #77-ის მიმდებარე ტერიტორიაზე 28მ.X16მ.-ზე სპორტული მინი-მოედანის მოწყობა, სადაც ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: შემოსასაზღვრა მოედანი ლითონის ბადეებით და პროფილებით 3,1 მ. სიმაღლით, დაიდგა საფეხბურთო 2 კარი, დამონტაჟდა საკალათბურთო ფარების ლითონის ელემენტებით, დაიგო ხელოვნური მწვანე საფარი 435 კვ.მ. ფართობზე, მოეყარა გარეცხილი ქვიშა, დამონტაჟდა განათება 4 ალუმინის ბოძით;

სარაგბო სტადიონის მშენებლობა - მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების რაგბის სტადიონის მშენებლობა, სადაც დღეის მდგომარეობით შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: მოიჭრა ტრიბუნის მოსაწყობ ადგილას გრუნტი 3 000 კუბ.მ.;



გატანილია 20 კმ-ზე ზედმეტი გრუნტი 5 250 ტონა, მოეწყო ბალასტის საფუძველი დატკეპნით 5 140 კუბ.მ.; ლობებისა და საყრდენი კედლებისათვის შესრულდა შემდეგი სამუშაოები, ესენია: დამუშავდა გრუნტი 837,9 კუბ.მ.; დამუშავებული გრუნტის ჩაყრა ხელით 613,5 კუბ.მ.; მოეწყო ბალასტის საფუძველი 212,5 კუბ.მ.; მომზადდა ბეტონი წერტილოვანი და ლენტური საძირკვლის ქვეშ 83,20 კუბ.მ.; მოეწყო მონოლითური საყრდენი რკ.ბეტონის კედელი ბეტონი ბ-20 - 333,9 კუბ.მ. მოცულობით, დამონტაჟდა ანაკრები რკ.ბეტონის ღობის პანელები 408 ცალი, დამზადდა და დამონტაჟდა ლითონის ღობის გისოსები 688,8 კვ.მ.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სპორტული კომპლექსის შექმნა;
ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კონკურსებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 187,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 160,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

კონკურსი - საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნელად - საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

კონკურსი - სელიმ ხიმშიაშვილის ქანდაკების ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნელად - სელიმ ხიმშიაშვილის ქანდაკების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

ცნობილ ბათუმელთა საიუბილეო თარიღებისადმი და საპატიო ბათუმელებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები - აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2014 წელს საპატიო ბათუმელის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულადი განაცემი 1000-1000 ლარი გადაეცათ 11 პირს;

ლიტერატურული საღამოები - აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2014 წლის 17 - 18 მაისს ჩატარდა თანამედროვე პოეტებისა და პროზაიკოსების ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდა 85 პოეტი და მწერალი. განხორციელდა პროექტში მონაწილეთა სასტუმრო მომსახურება, ტრანსპორტირება ქალაქის შიდა ტერიტორიაზე, კრებულის მომზადება, დაბეჭდვა და გავრცელება, რომელშიც თავმოყრილი იყო პროექტში მონაწილე პოეტებისა და პროზაიკოსების რჩეული ნაწარმოებები. ფორუმი ჩატარდა კომფორტულ, კლასიკურ და სალონურ გარემოში, დახურულ დარბაზში. ფორუმი უზრუნველყოფილი იყო გახმოვანების აპარატურით, მუსიკალური გაფორმებით, პროექტორითა და ეკრანით, ღონისძიების წამყვანით, დაიბეჭდა სარეკლამო ბუკლეტები, სიგელები, მოსაწვევები, აფიშები, განხორციელდა სპორტული ღონისძიების (ფეხბურთი) გახმოვანება, გაიმართა საფეხბურთო მატჩი, ნარდის ჩემპიონატი;



ბათუმელ ხელოვანთა ხელშეწყობა - პროექტის ფარგლებში განხორციელდა პრეზენტაცია, მოეწყო მასტერკლასი და შიდა პლენერები ადგილობრივი მხატვრებისათვის, ორგანიზება გაეწია ლიტველ და ქართველ, ასევე ქართველ და პოლონურ მხატვართა საერთაშორისო პლენერს. მოეწყო გასვლითი გამოფენები, ორგანიზება გაეწია შუალედურ გამოფენებს, მოეწყო შემაჯამებელი გამოფენა. ასევე პროექტში მონაწილე მხატვრებმა (4 კაცი) მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ღონისძიებებში, რომლის მიზანი იყო კონტაქტების დამყარება უცხოელ მხატვრებთან და ერთობლივი ვორკშოპებისა და გამოფენების მოწყობა;

სასაჩუქრედ წიგნის გამოცემა - საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში გამოიცა შემდეგი წიგნები: რამაზ სურმანიძის წიგნი - „გრიგოლ ვოლსკი, ცხოვრება და მოღვაწეობა“, ლადო სეიდიშვილის წიგნის - „ზენი და ვნებანი“, მარინე ხანთაძისა და მარადი ანასაშვილი წიგნი - „სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება“.

დიასპორების ხელშეწყობის ღონისძიებები - პროექტი ითვალსიწინებდა ბათუმში არსებულ დიასპორებისათვის, მათი ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნასა და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში ხელშეწყობას. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდნენ: ა(ა)იპ „აჭარის სომეხთა კავშირი. თანხა გაიცა - სომხური სამოციქულო ეკლესიის დღესასწაულის - „სურბ სარგისი“-ს ორგანიზებულად ჩატარების მიზნით. ა(ა)იპ სომხურ-ქართულ საზოგადოება „ჩვენი სახლი საქართველო“. თანხა გაიცა - სომხეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარების მიზნით. ა(ა)იპ სომხურ-ქართულ საზოგადოება „ჩვენი სახლი საქართველო“. თანხა გაიცა - დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების მიზნით. ა(ა)იპ ქართულ-ებრაული ურთიერთობის ასოციაცია. თანხა გაიცა ებრაელთა დღესასწაულის „პაქესი“-ს ჩატარების მიზნით. ა(ა)იპ აჭარის სომეხთა კავშირი. თანხა გაიცა - ბათუმის დამძობილებულ ქალაქ ვანაძორში, ჩატარებული საფეხბურთო ტურნირის მინი-ფეხბურთში, სომხური დიასპორის გუნდის მონაწილეობის მიზნით. ა(ა)იპ ქართულ-ებრაული ურთიერთობის ასოციაცია . თანხა გაიცა - ისრაელის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარების მიზნით. ა(ა)იპ აჭარის სომეხთა კავშირი თანხა გამოეყო სომხურ დიასპორასთან არსებული საფეხბურთო გუნდის „ახფიურის“ აჭარის ღია პირველობაში მინი-ფეხბურთში მონაწილეობის მხარდაჭერისთვის. ა(ა)იპ ქართულ - უკრაინულ კულტურულ -საგანმანათლებლო კავშირი „ედნისტი“. თანხა გაიცა - ღონისძიების „საქართველოს ბავშვები მშვიდობისა და მეგობრობისათვის“ ორგანიზების მიზნით. ა(ა)იპ ქართველთა და აზერბაიჯანელთა აჭარის საქველმოქმედო საზოგადოება. 2014 წლის 18 ოქტომბერს ჩატარდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ა(ა)იპ ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაცია. თანხა გამოიყო - ქ. ბათუმის ბერძენთა სათვისტომოს მიერ ნაციონალური დღესასწაულის, ფაშიზმის წინააღმდეგ ნაციონალურ -განმანათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების „ოხი“-ს აღნიშვნისა და ჩვენს ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობის გაღრმავების მიზნით. ა(ა)იპ ქართულ - უკრაინულ კულტურულ - საგანმანათლებლო კავშირი „ედნისტი“. თანხა გაიცა - ქ. ბათუმში ტოლერანტობის საერთაშორისო დღეების აღნიშვნის მიზნით.

ქართულ-ებრაული ხელოვნების სადამო - 2014 წლის 7 ივნისს გაიმართა ქართულ-ებრაული ხელოვნების სადამო. განხორციელდა სადამოს მონაწილეთა სასტუმროთი და 3-ჯერადი კვებით უზრუნველყოფა, როიალის ამწყობის მომსახურება, საკონცერტო დარბაზის ეკიბანებით გაფორმება, თაიგულებით უზრუნველყოფა, ფოტო და ვიდეო გადაღება და მონტაჟი, სადამოს მონაწილეთა მიკროავტობუსებით ბათუმის ფარგლებში



გადაადგილება, ბანერების დამზადება-განთავსება, საღამოს სარეკლამო-საინფორმაციო საშუალებების ბეჭდვისა და გავრცელების (განთავსების) ორგანიზება: დამზადდა აფიშები, მოსაწვევები, განხორციელდა საღამოს მონაწილეების გამაგრებელი სასმელებით უზრუნველყოფა, ფურშეტის უზრუნველყოფა.

მსოფლიო ინტელექტუალურ შეჯიბრებაში „რა? სად? როდის?“ ბათუმის გუნდის მონაწილეობა - თანხა გაიცა 2014 წლის 9-11 მაისს, ქალაქ პრაღაში გამართულ საერთაშორისო ინტელექტუალურ ტურნირში „ხრუსტალნი გოლემი“ - ინტელექტუალური კლუბის „რა, სად, როდის?“ ბათუმის გუნდის მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით (დაფინანსდა 7 მონაწილე).

შემოქმედთა მხარდაჭერა - პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ბათუმში არსებულ შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერი ღონისძიებები, კერძოდ, იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში. პროექტის ფარგლებში დაფინანსდნენ: ანსამბლი „ზღვის შვილები“ - 10 000 ლარით. თანხა გაიცა 2014 წლის 5-9 ივნისს, ქალაქ ბერლინში დაგეგმილ ტრადიციულ მუსიკალურ ფესტივალში ანსამბლის მონაწილეობის მიზნით (დაფინანსდა 10 მონაწილე). მომდერალი თეა მახარაძე - 1000 ლარით. თანხა გაიცა 2014 წლის 4-8 დეკემბერს, ლატვიის დედაქალაქში, ქ. რიგაში, დაგეგმილ სიმღერების საერთაშორისო კონკურსში „რიგის სიმფონია-2014“ მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მხარდაჭერილი იქნა ადგილობრივი ინიციატივები, სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის პროექტები.

ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი (პროგრამული კოდი 05 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 260,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 260,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ექსპერიმენტალური მუსიკის ფესტივალი - 2014 წლის 25-დან 27 აპრილის ჩათვლით გაიმართა ექსპერიმენტალური მუსიკის ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყვნენ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილი, ასევე ახლად აღმოჩენილი მუსიკალური შემსრულებლები და ვიდეო დიზაინერი, რომლებმაც შექმნეს ექსპერიმენტალური ნამუშევრები. 3 დღის განმავლობაში ჩატარდა მასტერკლასები, ლექციები, დისკუსიები წინასწარ განსაზღვრულ თემებზე, წარმოდგენილი იქნა მუსიკალური პერფორმანსები. განხორციელდა ფესტივალში მონაწილეთა (12 მუსიკალური შემსრულებელი, 3 მასტერკლასის წამყვანი და ვიდეო დიზაინერი) მომსახურება, დამხმარე მუშახელის მომსახურება, ფესტივალის მონაწილეთა სასტუმროთი მომსახურება (16 კაცი), ფესტივალი უზრუნველყოფილი იქნა დახურული ფართით. აუდიო და ვიდეო აპარატურით, განხორციელდა ფესტივალის ფოტო და ვიდეო გადაღება მონტაჟით (2 ცალი DVD), დაიბეჭდა და გავრცელდა 2000 ფლაერი, 40 აფიშა, დამზადდა 1 ბანერი ზომა 3მ×3მ და 3 ბანერი, ზომა 60 სმ×180 სმ.



ქალაქური მუსიკის ფესტივალი - ფესტივალი გაიმართა 2014 წლის 26-28 სექტემბერს. ფესტივალის ფარგლებში განხორციელდა მონაწილეთა სასტუმროთი და კვებით უზრუნველყოფა (42 კაცი), საფესტივალო ორი კონცერტის ორგანიზება, რეჟისორისა და მხატვარ-დიზაინერის მომსახურება, აფიშებისა და მოსაწვევების ბეჭდვა-გავრცელება, ფოტო-ვიდეო მატიანეს შექმნა, სასცენო დეკორაციების მოწყობა, ფესტივალის დამხმარე მუშახელისა და წამყვანის მომსახურება, ფესტივალის მონაწილეების სასმელი წყლით უზრუნველყოფა და ბანკეტის ორგანიზება.

კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალი გაიმართა 2014 წლის 24-31 აგვისტოს, მონაწილეობდნენ კლასიკური მუსიკის ვარსკლავები. სადამოებს დაესწრო ქალაქის საზოგადოება და ბათუმის სტუმრები. შესრულდა კლასიკური მუსიკის ნაწარმოებები. ფესტივალის ფარგლებში განხორციელდა: ფესტივალის მონაწილეთა (48 კაცი) სასტუმროთი და 3-ჯერადი კვებით მომსახურება; საკონცერტო დარბაზის ეკიბანებით უზრუნველყოფა, ასევე ყვავილებითა და შესაფუთი მასალით გაფორმებული თაიგულებით მომსახურება; 2 როიალის აწყობა; ფოტო და ვიდეო გადაღება და მონტაჟი; ფესტივალის მონაწილეთა 2 მიკროავტობუსით ბათუმის ფარგლებში გადაადგილება; ფესტივალის მონაწილეების სასმელი წყლით მომსახურება; ბანკეტის უზრუნველყოფა. განხორციელდა ფესტივალის ქართველ შემსრულებლებზე (16 შემსრულებელი) შრომის ანაზღაურების გაცემა.

საავტორო ფილმების ბათუმის IX საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალი გაიმართა 2014 წლის 14-21 სექტემბერს. ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყვნენ 26 უცხოელი და 20 ქართველი რეჟისორი/პროდიუსერი/მსახიობი, განხორციელდა: მონაწილეთა სასტუმროთი და კვებით უზრუნველყოფა, საფესტივალო ფილმების ჩვენების უფლებებისა და სათანადო ლიცენზიების მოპოვება, ფილმი-კოპიების ტრანსპორტირება, ფესტივალის ვოლუნტერების კვებით მომსახურება, ფესტივალის გახსნისა და დახურვის ორგანიზება, კინოთეატრის დარბაზის დაქირავება, ფესტივალის კატალოგისა და ფლაერების დაბეჭდვა, კინოფესტივალის პრიზების დამზადება, ფილმების თარგმნა ქართულ ენაზე, სუბტიტრების მომზადება, ფილმების პროექცია სუბტიტრებით, ტექნიკური პერსონალის მომსახურება და სამუშაო ჯგუფის ტრანსპორტით მომსახურება.

ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის IX საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალი გაიმართა 2014 წლის 4-6 ნოემბერს. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ქართველი და უცხოელი შემსრულებლების კონცერტები, სადაც გაჟღერდა ამ ქვეყნების ავთენტური ფოლკლორული მუსიკა. მონაწილეობდა 3 უცხოური და 7 ქართული ანსამბლი. განხორციელდა ფესტივალის მონაწილეთა სასტუმროთი და კვებით მომსახურება, მონაწილეთა ტრანსპორტირება ქალაქის ტერიტორიაზე, ჩატარდა სამი საფესტივალო კონცერტი. მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია. განხორციელდა ფესტივალის სარეკლამო-საინფორმაციო საშუალებების ბეჭდვა და გავრცელება. დამზადდა ფესტივალის ბანერი. მონაწილეებს გადაეცა დიპლომების ასევე შეიქმნა ფესტივალის ფოტო-ვიდეო მატიანე.

➤ მიღწეული შედეგები:

პროგრამის ფარგლებში ჩატარებული საერთაშორისო ფესტივალების შედეგად გაიზარდა ქალაქის ცნობადობა საერთაშორისო მასშტაბით;

გაიზარდა ინტერესი უცხოელი შემსრულებლების ბათუმის საერთაშორისო ფესტივალების მიმართ.



ქალაქის კულტურული და ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 84,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 83,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

ბათუმი კრეატიული ქალაქი - პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ტიპის ღონისძიებები: მომზადდა „ქალაქ ბათუმის ქარტია“ (საპროგრამო ხასიათის დეკლარაცია); გამოცხადდა კონკურსი - „ინოვაციური სოციალური იდეა და პროექტი ბათუმს“, ხოლო გამარჯვებული -5 ახალგაზრდა, საუკეთესო ინიციატივებისთვის დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით; ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ჯეო-ივენთის“-მიერ მომზადდა, იუნესკოში წარსადგენი დოკუმენტაციის გეგმა; 2 ივლისს ჩატარდა შემაჯამებელი საღამო სასტუმრო ინტურისტ პალასში.

პორტალი „ეს ბათუმი“/„ბათუმის ენციკლოპედია“ - შეიქმნა რუსულ-ქართულ - ინგლისურ ენოვანი, საინფორმაციო, გასართობ-საგანმანათლებლო პორტალი - „That’s Batumi/ეს ბათუმია/Это Батуми“.

"ეს ბათუმია" (სარეკლამო სასაჩუქრე ალბომი და მოწვევის წერილები) - მოსაწვევი წერილები და ტურისტული ბუკლეტები, ბათუმის ხედებით, დაიგზავნა პოსტსაბჭოთა სივრცის 50 ქალაქის მუნიციპალიტეტში, 25 ტურისტულ სააგენტოში და 25 მსხვილ მედია კომპანიაში.

სტრიტ-არტის ფესტივალი - მოწვეული იქნა ფრანგი და ქართველი გრაფიტის მხატვრები, რომლებმაც უზრუნველყვეს ქალაქის გალამაზება (კედლების მოხვატვა). მოიხატა 10-მდე ობიექტი, მოხატული კედლების ფართობი შეადგენს - 300 კვ/მ. ჩატარდა ფრანგი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა შპს „დოტკომას გალერეაში“. მომზადდა ბუკლეტები - 1000 ცალი და ფესტივალის ამსახველი დოკუმენტალური ფილმი.

➤ მიღწეული შედეგები:

ინფრასტრუქტურულ-ტურისტული სფეროების თანხვედრა კულტურული პრიზმის ქრილში;

მოეწყო ადგილობრივი მხატვრებისათვის პრეზენტაცია, მასტერკლასები, საერთაშორისო პლენერები, შუალედური და შემაჯამებელი გამოფენები. ამდღა მხატვართა პროფესიული დონე, გაღრმავდება მათი შემოქმედებითი კავშირები ქვეყნის გარეთ.

ხელი შეეწყო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებასთან;

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 2,562.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,365.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92.3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

კულტურულ- შემოქმედებითი ხასიათის პროექტების დაგეგმვა. ორგანიზება და განხორციელება. თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების სცენით. გახმოვანების და განათების აპარატურით უზრუნველყოფა - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა და ბათუმის კულტურის ცენტრმა წარმოადგინა კლასიკური მუსიკის საღამო. 28 მარტს მუსიკალურ ცენტრში ჩატარდა ჟიული შარტავას საიუბილეო საღამო. აღნიშნულთან დაკავშირებით მოწვეული იყვნენ მსახიობები, წამყვანი და სცენოგრაფი. 21,08-2,09 ღონისძიება ბათუმელი და რიგელი მხატვრების ერთობლივი გამოფენა. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცხადდა ტენდერი მხატვართა ჯგუფზე სატრანსპორტო მომსახურების გაწევაზე. ღონისძიების ხარჯი მოიცავს აღნიშნული სტუმრების სასტუმროში დაბინავებასა და კვებას, სამხატვრო ტილოებით მომარაგებას. 6 აგვისტოს ბათუმის საზაფხულო თეატრში გაიმართა "ბათუმის კულტურის ცენტრთან" არსებული ჯაზ ბიგ-ბენდის შოუ კონცერტი. მოწვეული იქნა რამოდენიმე მომღერალი, შესყიდული იქნა ყვავილები.

საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება - ქალთა კამერული გუნდის მიერ მოეწყო გასტროლი ქ.თბილისში „თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალზე“. ქალთა კამერული გუნდის ვიზიტი თბილისში - იოსებ კეჭაყმადის დაბადებიდან 75 და გარდაცვალებიდან ერთი წლისთავთან დაკავშირებით. ქორეოგრაფიული ანსამბლის გასტროლი იალოვში - ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე "ტუფაკი". ქორეოგრაფიული ანსამბლის გასტროლი უკრაინაში (კიევი) - საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად.

ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღები - საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის საახალწლო ღონისძიებები- საახალწლო დღეებში ევროპის მოედანზე ყოველდღიურად გაიმართა საბავშვო სტუდიების წარმოდგენები, კოსტუმირებული თეატრალიზებული წარმოდგენები, ჯგუფი „შინი“-ს კონცერტი, „ბერიკების" კოსტუმირებული თეატრალიზებული წარმოდგენები. განხორციელდა სტუმრობა სათნოების სავანეში, მათთვის გაიმართა გასართობი შოუ პროგრამა და ასევე სავანე მომარაგებული იქნა სხვადასხვა პროდუქტებით.

დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ბათუმის მუსიკალურ ცენტრში გაიმართა ტრადიციული დედის დღის აღსანიშნავი საზეიმო საღამო. ღონისძიების ხარჯი მოიცავს ყვავილების შესყიდვას და წამყვანის მომსახურებას.

1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა - გვირგვინითა და ყვავილებით მემორიალის შემკობა.

მიმდინარე წლის 9 აპრილს ქ.ბათუმში სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრადიციულად გაიმართა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულების ხსოვნის დღის ცერემონიალი. გვირგვინითა და ყვავილებით მემორიალის შემკობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ამ დღესთან დაკავშირებით ქალაქის ქუჩებში მოეწყო თეატრალიზებული წარმოდგენები ბერიკების მონაწილეობით, მოხდა გიგანტი საჭაერო ბუმტების გაშვება, ღონისძიების თემის მიხედვით დამზადებული იქნა ბანერი, მოწვეული იყვნენ სხვადასხვა საშემსრულებლო ჯგუფები და ბოლოს ზეიმი დასრულდა გალა კონცერტით;



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: 1 ივნისს ქალაქის სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობდა საბავშვო წარმოდგენები, ასევე დღის განმავლობაში ქალაქის ქუჩებში იყო კოსტუმირებული მსვლელობები, ბუშტების გაშვება და ბოლოს ღონისძიება დასრულდა გალა კონცერტით რომელიც საზაფხულო თეატრში გაიმართა.

ბათუმობის დღესასწაულთან დაკავშირებით მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენები, გამოფენა „ბათუმი და კინო“ კონოთეატრ „აპოლოსთან“; პოეტების პერფორმანსი ყოფილი თითების თეატრის შენობასთან; ბათუმელი ფოტოხელოვანის გიზო ჩიგოგიძის გამოფენა; კომპანია „ხარებას“ ღვინის დეგუსტაცია; ქემალ თურმანიძის ნამუშევრების გამოფენა (აბაშიძის ძეგლის მიმდებარედ); შოთა გუჯაბიძის ნამუშევრების ფოტო-გამოფენა, ცნობილი ქართველი შემსრულებლების კონცერტი ევროპის მოედანზე, გამოფენა-გაყიდვა ლუდი, ნაყინი, წვენები, ბათუმური ყავა ქვიშაზე, „ბათუმის აკადემიის“ საპატიო წევრის კურთხევის რიტუალი, ქუჩის მოძრავი თეატრის პერფორმანსი. სტუდია „იალონის“ რეტრო გამოფენა, ფოტოების ადგილზე გადაღებით და წამიერი გამჟღავნებით, თოჯინების თეატრის პერფორმანსი, ბათუმელი და რიგელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა.

ბათუმზე გამოცემული წიგნების რეტროსპექტივა და „მოხეტიალე წიგნების“ შეგროვება, სტუდია „ლიმპოპოს“ კონცერტი, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. აჭარის რადიოსთან - ძველი და ახალი თაობის ჟურნალისტების შეხვედრა - „ოქროს ფონდის ჩანაწერები“. ახალგამოცემული წიგნების გამოფენა-გაყიდვა, კომპანია „ჯეპრას“ პროდუქციის გამოფენა. საპატიო ბათუმელების დაჯილდოების ცერემონიასადმი მიძღვნილი კონცერტი-საზაფხულო თეატრში. წიგნის „ბათუმი კინოში“ პრეზენტაცია, ანზორ თალაკვაძის ფილმის ჩვენება კინოთეატრ „აპოლოში“; ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის შესყიდვები: მოწვეული სტუმრების სასტუმროში დაბინავებისა და კვების საწარმოს მომსახურებები, სატრანსპორტო მომსახურება, ჯილდოების, ყვავილების, ელექტრო საქონელის შესყიდვა. წინასაახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით 2014 წლის 25 თებერვლიდან დაიწყო წინასაახალწლო კონცერტები და გასართობი ღონისძიებები, ევროპის მოედანზე გაფორმებული იქნა სცენა, დამონტაჟდა გასახდელეები, დამზადდა საინფორმაციო ვიდეო რგოლები, მოეწყო ნიაზ დიასამიძის კონცერტი, ასევე კონცერტები სხვადასხვა შემსრულებლებისგან.

რბილი ინვენტარის შეძენა - შეძენილ იქნა სასცენო და საკონცერტო ფორმების შეძენა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შეძენილ იქნა 2 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა.

➤ მიღწეული შედეგები:

მოსახლეობის კულტურული მომსახურება, დამსვენებელთა და უცხოელ ტურისტისათვის კონცერტების ჩატარება;

განხორციელდა ნიჭიერი შემოქმედებითი ახალგაზრდობის მოზიდვა, აღზრდა და განვითარება, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის გაღრმავება.

ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.



➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 709.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 707.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საბიბლიოთეკო საქმიანობის ორგანიზება - 2014 წელს ბიბლიოთეკის ფონდი გაიზარდა 10360 ერთეულით, ბიბლიოთეკაში გაწვევრიანდა (ჩაეწერა) 4 912 მკითხველი, დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა 126180 მკითხველი და მათზე გაიცა 304525 ბეჭდვითი ერთეული.

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება - ჩატარდა 114 ღონისძიება; მოეწყო 74 თემატური და კალენდარული გამოფენა, განახლდა 11 მუდმივმოქმედი გამოფენა; 102-ჯერ მოეწყო საკლუბო შეხვედრები.

ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების შექმნა - წიგნების ელექტრონული კატალოგების სპეციალური პროგრამით შეიქმნა 10 417 ქართული და 827 უცხოური წიგნის ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული ბაზები განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე (www.bpl.ge).

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაიზარდა ბიბლიოთეკის ფონდი მკითხველთა მოთხოვნილებათა და სავალდებულო ეგზემპლართა გათვალისწინებით;

გაიზარდა საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული ბაზის მონაცემთა რაოდენობა და მიმართულებები;

მოეწყო კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები, საკლუბო შეხვედრები, სპეციალიზებული სემინარები და ტრენინგები.

ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,094.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,093.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბაღის მოვლა პატრონობის ღონისძიებათა სამუშაოების ფარგლებში განხორცილდა მცენარეთა ინტროდუქციის, ადგილობრივი ფლორის დაცვის, დეკორატიული მებაღეობისა და მეყვავილეობის, მცენარეთა დაცვის, საგანმანათლებლო და ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ასევე, დადგენილი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა სამეურნეო და აგრო-ტექნიკური ხასიათის სამუშაოები. 12 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა 108 ჰა ფართობის ტერიტორიის ინტენსიური დასუფთავება, ცენტრალური გზებისა და ბილიკების (საერთო სიგძე) 7 კმ ყოველდღიური დასუფთავება, მათ შორის 3 კმ ტურისტული მარშრუტის ღამის განათება. 12 თვის განმავლობაში 4-ჯერ მოეწყო ბაღის ფიტოგეოგრაფიული განყოფილებების, სანერგე მეურნეობის და სეზონების შესაბამისად საკოლექციო ნაკვეთების ცელვა, გამოხშირვა, ახალი ნარგავების შეტანისა და კულტივაციის სამუშაოები. ცალკეულ სათბურებსა და ორანჟერიებში ბაღის პარკებისათვის გამოყვანილია მრავალფეროვანი ყვავილოვანი ნარგავები. 4-ჯერ ჩატარდა წამლობა ციტრუსებისა და ტეკორატიულ მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთებისა და



ფიტოგეოგრაფიული განყოფილებების ტერიტორიაზე, ტარდებოდა ყოველკვირეული ღონისძიებები მცენარეთა დაცვის მიმართულებით. ხორციელდებოდა სამეურნეო და დამხმარე გზების პერიოდული გაწმენდა, ზამთრის და გაზაფხულის სტიქიების შედეგად არსებული ნამსხვრევი და ნარჩენი საშემე მასალის დამუშავება და სარეალიზაციოდ მომზადება; სათბურებისა და ორანჟერიებისათვის მიწის გრუნტის მომზადება და დამუშავება; ყოველდღიურად ტარდებოდა სანიტარული ღონისძიებები ცალკეულ სველ წერტილებსა და საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილებში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბაღის ადმინისტრაციისა და ცალკეული სტრუქტურული ერთეულისათვის შეძენილია საოფისე ავეჯი. პროგრამის ფარგლებში შეძენილი და უზრუნველყოფილია ბოტანიკურ ბაღში დასაქმებული პერსონალი სამუშაო ტანსაცმელითა და ფეხსაცმელით; განთავსდა ბაღის შემოსასვლელებში და სალაროებში ვიდეოსამეთვალყურო კამერები; შეძენილია აგრეთვე მცენარეთა გამოკვებისა და წამლობისათვის მინერალური (ორგანული) სასუქები და შხამქიმიკატები. ბაღის საქმიანობისათვის შეძენილია სხვადასხვა სახის სამეურნეო იარაღები და სანტექნიკური მოწყობილობები. სანერგე და სასათბურე მეურნეობისათვის საყვავილე კონტეინერები, განახლდა და რესტავრაცია გაუკეთდა საინფორმაციო ბანერებსა და ბილბორდებს. ბაღის პერიმეტრზე ჩატარდა სამღებრო სამუშაოები (მოაჯირები, საბაღე სკამები, საყრდენი კედლები, გარე განათების ბოძები,საპირფარეშოები). განხორციელდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სარეკლამო ხასიათის ფლაერების დამზადება და გავრცელება ტურისტულ სააგენტოებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბოტანიკური ბაღის ყოველკვარტალური გაზეთის ბეჭდვა და გავრცელება; გამოიცა ბოტანიკური ბაღის მცენარეთა თესლების სია (დელექტუსი) #41. მოეწყო საველე ექსპედიციები სხვადასხვა მიმართულებით ჰერბარიუმისა და თესლების შემოტანის მიზნით. შეივსო კლექცია ახალი პერსპექტიული სახეობებით. შედგა რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვიზიტი და შეხვედრა. შეკეთდა ლაბორატორიული კორპუსის სახურავის ნაწილი; ავტოტრანსპორტისათვის შეძენილია ვიდეო რეგისტრატორები; საქორწინო პოდიუმი აღჭურვილ იქნა საჭირო ინვენტარით. დაწყებულია სამუშაოები ჩაქვის მხრიდან მაღალი ძაბვის შემოსაყვანად ბაღში გამანაწილებელი ქსელის ელექტრო სიმძლავრის გაზრდისათვის.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში შხამქიმიკატებისათვის აშენდა ახალი საწყობი. მოეწყო საკოლექციო ნაკვეთზე შემავალი გზის საყრდენი კედლისა და წყაროს შემკრები ავზი. განხორციელდა ზღვისპირა პარკში ჩრდილო-ამერიკის ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებაში შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის საპირფარეშოს დამატებითი სექციის მოშენება. შეძენილია ბოტანიკური ბაღისათვის მწვანე კონცხის ცენტრალური სამანქანო შემოსასვლელის და გადმოცემული მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. სანერგე და სასათბურე მეურნეობის სათბურებში მოეწყო და ჩაირთო ვენტილაცია. მოეწყო ზღვისპირა პარკში დეკორატიული (საქორწილო) კუთხე; დასრულდა მუშაობა ბაღის ტოპოგრაფიული რუკასთან დაკავშირებით, ასევე დასრულდა სამუშაოები მცენარეთა ინვენტარიზაციისათვის საჭირო ფიტო და გეო მონაცემთა ელექტრონული ბაზის შესაქმნელად. ბაღის პარკებისა და საკოლექციო ნაკვეთებისათვის შეძენილ იქნა იშვიათი ჯიშის მცენარეები. შეძენილ იქნა სხვადასხვა პროექტები (1. მექსიკური განყოფილების იაპონურ ბაღებთან დამაკავშირებელი გზისა და ბილიკების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; 2. ზედა პარკის მუდმივმოყვავილე სკვერის



ჩრდოლოეთ ნაწილის რეკონსტრუქცია. 3. ბოტანიკური ბაღის სამხრეთ ამერიკის განყოფილებისა და ზედა პარკის, დამეწყრული და მეწყერსაშიში უბნების გეოლოგიური კვლევა. 4. ბოტანიკური ბაღის სამხრეთ ამერიკის ფიტოგეოგრაფიული განყოფილებისა და ზედა პარკის დამეწყრული და მეწყერ საშიში უბნების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია).

პროგრამის ფარგლებში ბაღის საღაროებისათვის შეძენილ იქნა გაბილეთიანების ელექტრონული სისტემის დანერგვისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და ელექტრონული სისტემით ბაღში ვიზიტორთა აღრიცხვისა და გაბილეთიანებისათვის ბილეთებით უზრუნველყოფელი პროგრამა. შენობა-ნაგებობებზე დამონტაჟდა სამი ერთეული კონდიციონერი. სანერგე-სასათბურე მეურნეობის სათბურისათვის შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა სტელაჟები. ავტოპარკს შეემატა ერთი ერთეული წინაბაქნიანი ტრაქტორი. ტოპოგრაფიული რუკისათვის და ერთიანი ელექტრონული სისტემის უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა სერვერი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განახლდა და კეთილმოეწყო ბოტანიკური ბაღის ინფრასტრუქტურა;

გალრმავდა ორგანიზაციის, სამეცნიერო კავშირები, გააქტიურდა სამეცნიერო მუშაობა და შეივსო ბაღის ფლორისტული განყოფილებები. ჩატარდა გეგმიური ღონისძიებები მცენარეთა დაცვის მხრივ, დაზუსტდა ბაღის მცენარეთა კოლექციის ნუსხა;

გაიზრდა დამთვალიერებელთა რაოდენობა, ბაღში ჩატარდა საგანმანათლებლო აქტივობები.

კულტურული ღონისძიებების საკონცერტო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 02 08)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სცენა.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 70.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 57.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 81.5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების სცენით, გახმოვანებით და განათებით უზრუნველყოფა, .

➤ **მიღწეული შედეგები:**

ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურული ღონისძიებების შეუფერხებლად ჩატარება.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 325.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 311.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ქ. ბათუმის მოსწავლეთათვის მხიარულთა და საზრიანთა თამაშების ღია პირველობა - პროგრამაში მონაწილეობდა ქ. ბათუმის 6 საჯარო სკოლა N 1, 2, 4, 6, 13, 14,15 და 17;

რატა? სად? როდის? ინტელექტუალური თამაშები - თამაშებში მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმის კერძო და საჯარო სკოლის ნაკრებმა 22 გუნდმა, სულ მონაწილეობდა 117 მოსწავლე.

შემეცნებითი ტურები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში - ღონისძიება ატარებდა შემეცნებით ხასიათს, მასში მონაწილეობა მიიღო ქალაქის ყველა უბნის წარმომადგენელმა. (თითო უბნიდან 16 ახალგაზრდა) 3 თვის განმავლობაში ახალგაზრდებისათვის მოეწყო შემეცნებითი ხასიათის გასვლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ქალაქებსა და რეგიონებში. კომისიამ შეარჩია და გამოავლინა 208 ახალგაზრდა, მონაწილეობა მიიღო 197 ახალგაზრდამ.

ბათუმის ახალგაზრდული თეატრალური კვირეული - ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 4-მა თეატრალურმა დასმა: ბათუმის ახალგაზრდული თეატრალური დასი, ქუთაისის ახალგაზრდული თეატრალური დასი, რუსთავის ახალგაზრდული თეატრალური დასი და თბილისის ახალგაზრდული თეატრალური დასი, ჯამში 40 სტუდენტ-ახალგაზრდა. ღონისძიება მიმდინარეობდა 1, 2 და 3 მაისს, კვირეულის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები, მოეწყო და წარმოდგენილი იყო თეატრალიზირებული მსვლელობები და სპექტაკლები.

ახალგაზრდული ფოლკლორული დღეები - ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა მხარეების ფოლკლორულმა ჯგუფებმა: ანსამბლი-„იალონი“ (თბილისი), ანსამბლი -„ამაღლება“ (ჩოხატაური), ვაჟთა ანსამბლი-„ოდოია“ (ზუგდიდი), ანსამბლი „ორნატი“ (საჩხერე), ფოლკლორული ანსამბლი „რიკო“ (მესტია), გოგონათა ანსამბლი - „ტირინი“ (ბათუმი), აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა (ბათუმი), შ.რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ტბეთი“ (ბათუმი), 3 დღის განმავლობაში მოეწყო და წარმოდგენილი იქნა ქართული ხალხური ფოლკლორი (ნაკეთობების და ნახატების გამოფენები). ნაჩვენები იყო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფილმები საქართველოს სხვადასხვა მხარეების წესჩვევებზე და ტრადიციებზე. მოეწყო ფოლკლორული დღეების საზეიმო დახურვა. ჩამოსული სტუმრებისათვის მოეწყო ბათუმ-ტური.

სამთო ახალგაზრდული ბანაკი - ღონისძიება ითვალისწინებდა საზაფხულო ბანაკების მოწყობას საქართველოს მთიანეთში (რაჭა, სვანეთი, ყაზბეგი) ბათუმელი ახალგაზრდები 8 დღის განმავლობაში ცხოვრობდნენ კარვებში, გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით შეისწავლეს ტურისტული ტექნიკის გამოყენება, გარემოს დაცვის უნარჩვევები, მოეწყო ლაშქრობები, სპორტული თამაშები და შემეცნებითი საუბრები.

ბათუმის სტუდენტური ფესტივალი - ფესტივალის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო: ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (ბათუმი), ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბათუმი), აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა (ბათუმი), ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო



სკოლა (ბათუმი), სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი (გორი), აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი (ქუთაისი), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უნივერსიტეტი (რუთავი). ღონისძიების ფარგლებში გაიმართა გამოფენები (ფოტო, ნახატი, ხელნაკეთი ნივთები), სტუდენტების მიერ გადაღებული ფილმების ჩვენება. ღონისძიების დასკვნით დღეს გაიმართა გალა-კონცერტი. ფესტივალში მონაწილე სასწავლებლების შემოქმედებით ჯგუფებს გადაეცათ ჯილდოები, ხოლო „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“, რომელიც წარსდგა ფესტივალზე საუკეთესო პროგრამით გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის გარდამავალი თასი „სტუდენტური ფესტივალი 2014“.

სტუდენტთა დასაქმება - პროგრამა ითვალისწინებდა ბათუმში რეგისტრირებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა დასაქმებას სხვადასხვა სამოქალაქო სამუშაოებზე.

სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის მხარდაჭერა - აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა ქ. ბათუმში სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის ოფისის სარემონტო სამუშაოებს. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ბათუმში ახალგაზრდა თაობის ჯანსაღი ცხოვრების განვითარებას. ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სკაუტთა ორგანიზაციის ოფისის შეკეთება.

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა - აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა, ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობას და მათი შესაძლებლობების განვითარებას.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ 2014 წლის 1-13 სექტემბრის ჩათვლით, იტალიის ქალაქ საბიონეტაში ჩატარდა იტალიელი მომღერლისა და პედაგოგის რემონტი ბრუზონის მასტერკლასები, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო ნიჭიერი ახალგაზრდა ვოკალისტი გოდერძი ჯანელიძე.

2014 წლის 3-9 აგვისტოს ქალაქ ვენაში, განხორციელდა საერთაშორისო პროექტი „გაეროს მოდელირება“, რომლის მიზანი იყო ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბება და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიზნით მიწვეული იყვნენ ბათუმელი ახალგაზრდები უჩა აბრამიშვილი და მინურ პაქსაძე - ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყო 2 753, 84 ლარი.

2014 წლის 17 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით, ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში ჩატარდა საერთაშორისო ფორუმი „Young Peacebuilders Forum“, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იყვნენ ნანა ბაუჟაძე და ნინო ჩხაიძე. ფორუმის ფარგლებში ჩატარებულმა ლექციებმა, დისკუსიებმა, სემინარებმა, რომელიც დაკავშირებული იყო მშვიდობის თემასთან, ახალგაზრდებს მისცა საშუალება, რომ მიიღოთ ინფორმაცია საერთაშორისო გამოცდილების შესახებ - ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყო 573,66 ლარი.

2014 წლის 7 ივლისს ქ. სტამბულში გაიხსნა 10 დღიანი საერთაშორისო ბანაკი, სადაც საქართველოდან მონაწილეობას ღებულობდა 40 სკაუტი, მათ შორის ქ. ბათუმიდან 15 სკაუტი - გამოყოფილი თანხა შეადგენდა 4 500 ლარი.

2014 წლის 28 ოქტომბრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით, საბერძნეთის რესპუბლიკის ქალაქ თესლონიკში, ქართული საზოგადოების კულტურულ-სპორტული ორგანიზაციის „საქართველოს“ მიერ, ბავშვთა და ემიგრანტთათვის პოეზიის საღამოზე მიწვეული იყო ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე ნიკა ფუტკარაძე, ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყო 1 009 ლარი.



2014 წლის 25 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით, ვიტალი მიქელაძე იმყოფებოდა უკრაინის რესპუბლიკის ქალაქ კიევში, საერთაშორისო რეგიონალური აკადემიის მიწვევით, ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველ-ყოფის მიზნით, გამოიყო 419 ლარი.

2014 წლის 7 ივლისს ქ. სტამბულში გაიხსნა და ჩატარდა 10 დღიანი საერთაშორისო ბანაკი, რაშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოდან 40 სკაუტი, მათ შორის ქ. ბათუმიდან მონაწილეობა მიიღეს 15 სკაუტი, ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყო - 4 500 ლარი.

2014 წლის 20-22 დეკემბერს (elsa) „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველომ“ ბაკურიანში გამართა რიგით XIII საერთო კრება, სადაც განხილულ იქნა (elsa) ბათუმის ლოკალური ჯგუფის მომდევნო 6 თვის საქმიანობის გეგმა, სტუდენტთა საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის პროგრამები და ასევე ბათუმელ სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების დამტკიცების საკითხები. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო (elsa) ბათუმის დელეგაციის 11 წევრმა. ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყო - 990 ლარი.

2014 წლის 3 დეკემბერს ქ. ქუთაისში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ქუთაისის მერიის ინიციატივით ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პარაოლიმპიური სპორტული და კულტურული ღონისძიებები. აღნიშნულ ღონისძიებაში მიწვეული იყვნენ ქ. ბათუმის პარაოლიმპიურთა კომიტეტის ახალგაზრდა წევრები. ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყო - 490 ლარი.

საზაფხულო სკოლის ორგანიზება - აღნიშნული პროექტი მიმდინარეობდა 11 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 20 უცხოელი სტუდენტის სასტუმროთი მომსახურეობა. პროექტში მონაწილეობა მიიღო, როგორც ადგილობრივმა ასევე უცხოეთიდან მოწვეულმა სტუდენტებმა. პროექტმა ხელი შეუწყო ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენას და მათ დაახლოებას. ჩატარდა კონფერენციები, გაიმართა დიალოგები საქართველოს ევროკავშირში ასოციირების შესახებ შეთანხმებაზე.

➤ მიღწეული შედეგები:

- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ზრდა;
- ახალგაზრდა ხელოვანები წარმოჩენა;
- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.



➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 222.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 195.9 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 88.2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბრონქული ასთმით დაავადებულ 319 ბენეფიციარს მიეწოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი წელიწადში ერთხელ;

ეპილექსიით დაავადებულ 290 ბენეფიციარს ყოველთვიურად მიეწოდებოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი;

მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ 1067 ყოველთვიურად მიეწოდებოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი;

პარკინსონით დაავადებულ 65 ბენეფიციარს ყოველთვიურად მიეწოდებოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი;

➤ **მიღწეული შედეგები:**

დაავადების სტაბილიზაცია;

ინვალიდობის პრევენცია;

დაავადებათა რეციდივების თავიდან აცილება;

გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა.

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და ოპერაციული მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 68.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 68.7 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 99.8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მომსახურება გაეწია: ექოსკოპია 700 პაციენტს, ონკომარკერი 500 პაციენტს და საშვილოსნოს ყელის დაზიანების ამოკვეთა 160 პაციენტს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია;

ინვალიდობის პრევენცია;

გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა.

მენჯ-ბარძაყის სახსრის დისკლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობა და ახალშობილთა სქრინინგი (პროგრამული კოდი 06 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 47.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 45.0 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 95.4%.



➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება გაეწია სმენით სქრინინგი 4500 ბავშვს, დისპლაზიის რეაბილიტაცია მკურნალობა გაეწია 170 ბავშვს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია;
ინვალიდობის პრევენცია;
ბავშვთა განვითარების შეფერხების მინიმინიზაცია;

**ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია
(პროგრამული კოდი 06 01 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 57.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 51.6 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 90.5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში 25 პირს უტარდებოდა ერგოთერაპია, არტთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პირები ჩართული არიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ხდება საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ოჯახურ სივრცეში და თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესება;
თვითშეფასების ამაღლება;
უნარჩვევების გამომუშავება.

**სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული
მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 06)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 87.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 83.4 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 95.4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ზედა და ქვედა ყბის პროტეზირება, გვირგვინის დამზადება, რენტგენოგრაფია, პერიდონტიტის მკურნალობა, კბილების ექსტრაქცია. პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება გაეწია 486 ბენეფიციარს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა;
გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.



ქ. ბათუმში მცხოვრები ჰემოდალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 63.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 59.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94.2%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად საშუალოდ სარგებლობდა 102 პირი, აქედან შემოერთებული ტერიტორიებიდან 25 პირი, ხოლო ქალაქ ბათუმში მცხოვრები 77 პირი;

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა;
გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 22.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 22.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100.0%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება მიიღო ორჯერადად 500 და 800 ლარის ოდენობით 6 ბენეფიციარმა, ხოლო 1 500 ლარის ოდენობით 5 ბენეფიციარმა.

➤ მიღწეული შედეგები:

დაავადების სტაბილიზაცია;
ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება,

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 01 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 750.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 742.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98.9%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სუბსიდირება ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევის - პირველადი პრეკოსპიტალური სასწრაფო-



სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით და ახალშობილთა ტრანსპორტირებისათვის საჭირო კუვეზის შეძენისათვის კაპიტალის ზრდა. 2014 წლის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ მიღებულმა გამოძახებების საერთო რაოდენობამ 84 000 შეადგინა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

პირველადი სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მომსახურების ხარისხის ზრდა;

მოსახლეობის გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 11)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 22.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 20.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 88.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამით განხორციელდა ქ. ბათუმში მცხოვრები მწვავე ლეიკემიით დაავადებული 15 ბავშვის სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დაავადების კონტროლი და სტაბილიზაცია;

შემსუბუქებული სოციალური მდგომარეობა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 12)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 59.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 59.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამით ისარგებლა 110 ბენეფიციარმა: 55 შშმ პირმა და 55 თანმხლებმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უნარჩვევების გამომუშავება;

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა და სქრინინგი (პროგრამული კოდი 06 01 13)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 134.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 132.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98.6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში, ღვიძლის ფუნქციური კვლევებით ისარგებლა 2000 ბენეფიციარმა, მაღალი მაჩვენებლის ანტისხეულების განსაზღვრისთვის, ისარგებლა 600 ბენეფიციარმა, ანტი-HCV დადებითის მქონე პირებს ჩაუტარდათ დიაგნოსტიკური კვლევა, პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის PCR-ს განსასაზღვრავად 336 ბენეფიციარს და PCR დადებითის მქონე პირებს დიაგნოსტიკური კვლევა გენოტიპის განსასაზღვრავად ჩაუტარდა 194 ბენეფიციარს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია;
გაუმჯობესებული ჯანმრთელობა და სოციალური მდგომარეობა.

სოციალურად დაუცველ მოხუცებულთა დახმარება და შინმოვლა (პროგრამული კოდი 06 01 14)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 96.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 83.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86.8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში, აუცილებელი მედიკამენტებით და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა ისარგებლა 80 ბენეფიციარმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა;

სამედიცინო დახმარების კომპონენტი (პროგრამული კოდი 06 01 15)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 280.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 148.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 53.1%. პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია დაგეგმილთან შედარებით პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ნაკლები ფაქტიური რაოდენობით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შ.შ.მ. პირებს, ომის ვეტერანებს; ტერიტორიული



მთლიანობისათვის ომში მონაწილეებს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს; მარტოხელა დედებს და მათ შვილებს. დაუფინანსდებათ მედიკამენტოზური მკურნალობა 495 ბენეფიციარს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა;
გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

სოციალურად დაუცველი ფენის უფასო კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,643.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,606.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97.8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში 0-57000 ქულის მქონე 2623 ბენეფიციარს ყოველდღიურად მიეწოდებოდა ცხელი საკვები ზამთრისა და ზაფხულის მენიუს შესაბამისად.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

I ჯგუფის უსინათლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შეღავათებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 25.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 22.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87.0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

კომუნალური გადასახადებით (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) უზრუნველყოფილი საშუალოდ 370 I ჯგუფის უსინათლო შშმ პირი, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადით უზრუნველყოფილი საშუალოდ 143 I ჯგუფის უსინათლო შშმ პირი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა;
კომუნალური და სატელეფონო-სააბონენტო გადასახადების დაფარვა.



ვეტერანებისა, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 187.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 151.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 80.9%.

➤ პროგრამის აღწერა:

უკვდავყოფისა და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება (შეიმკო მემორიალი 15 თებერვალს, 9 მაისს, 26 მაისს, 27 სექტემბერს)

15 თებერვალთან დაკავშირებით სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულმა 5-მა ვეტერანმა მიიღო ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით;

9 მაისთან დაკავშირებით II მსოფლიო ომის 58 ვეტერანზე გაიცა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით და II მსოფლიო ომში დაღუპულთა 17 ოჯახის წევრებზე - 100 ლარის ოდენობით;

27 სექტემბერთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში დაღუპულთა 65 ოჯახის წევრებმა და ინვალიდებმა მიიღეს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 200 ლარის ოდენობით;

12 გარდაცვლილ ვეტერანის ოჯახს გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით;

9 მაისს - ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო ბანკეტი;

დახმარება გაეწია ვეტერანთა საზოგადოება „ომგადახდილს“ 2508,50 ლარი და „ავღანელთა კავშირს“ 2400 ლარი სუბსიდიის სახით;

პროგრამის ფარგლებში კომუნალური გადასახადებით (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) უზრუნველყოფილი იყო ყოველთვიურად საშუალოდ 1600 ვეტერანი;

სატელეფონო-სააბონენტო გადასახადით უზრუნველყოფილი იყო ყოველთვიურად საშუალოდ 679 ვეტერანი;

ახალ წელთან დაკავშირებით 100 ლარის ოდენობით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია II მსოფლიო ომის 58 ვეტერანს და II მსოფლიო ომში დაღუპულთა 14 ოჯახის წევრს;

საცხოვრებელის არ მქონე "სოციალურად დაუცველი, I ჯგ.უსინათლო (შ. შ. მ.პ), ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს გაეწია დახმარება თხევადი აირის ტალონით 25 პირს.

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა;

კომუნალური და სატელეფონო-სააბონენტო გადასახადების დაფარვა.

უპოვართა და მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 06 02 05)



➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 629.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 629.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწიათ უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ მოხუცებულებს, რომლებთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი, არ ჰყავთ ნათესავები და მეურვეები. ყოველდღიურად ხორციელდებოდა 115 ბენეფიციარის მოვლა-პატრონობა, სამედიცინო მომსახურების გაწევა და კვებით უზრუნველყოფა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოხუცებულთა გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა;
გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 464.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 423.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91.0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

0-დან 70 000 ქულის მქონე 10700 ბენეფიციარის - მარტოხელა დედები და მათი შვილების, მრავალშვილიანი ოჯახების (5 და მეტი შვილი) კომუნალური გადასახადების (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) საფასურის დაფარვა;

0-დან 100 000 ქულის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების საფასურის სრულად 100%-ით დაფარვა;

0-დან 100 000 ქულის მქონე 100 ბენეფიციარის - მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის ბავშვებისათვის სპორტულ და სახელოვნებო დაწესებულებებში სწავლების საფასურის სრულად დაფარვა;

0-70 000 ქულის მქონე გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის 100 ოჯახზე დახმარების გაწევა;

უმწეო ხანდაზმულთა ცენტრის კომუნალური ხარჯები დაფინანსება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა;
დაფარული კომუნალური გადასახადები;



ერთჯერადი მატერიალური დახმარება ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე (პროგრამული კოდი 06 02 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 221.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 220.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.3%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში 323 ოჯახს მე-3 შვილის შეძენასთან დაკავშირებით გაეწია მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით. 36 ოჯახს 700 ლარის ოდენობით მე-4 შვილის შეძენასთან დაკავშირებით, მე-5 და მომდევნო ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით 17 ოჯახს 900 ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა.

მრავალშვილიანი და უდედმამო ბავშვების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 225.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 215.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.6%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში 3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება 1000 ლარის ოდენობით გაეწია 93 მრავალშვილიან ოჯახს;

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით გაეწია 23 უდედმამო ბავშვს;

სექტემბრის თვეში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით 31 უდედმამო ბავშვს.

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა.

პროფესიული სწავლება (პროგრამული კოდი 06 02 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 55.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 21.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 39.7%.

პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია დაგეგმილთან შედარებით პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ნაკლები ფაქტიური რაოდენობით.

➤ პროგრამის აღწერა:



ქ. ბათუმში რეგისტრირებული 0-დან 100000-მდე ქულის მქონე და შ.შ.მ პირების პროფესიული სწავლება - პროგრამის ფარგლებში პროფესიული სწავლების კურსი გაიარა 99 ბენეფიციარმა: მდივან რეფერენტი - 17 ბენეფიციარი, კომპიუტერის კურსები - 27 ბენეფიციარი, ბულალტერია - 20 ბენეფიციარი, სტილისტი - 12 ბენეფიციარი, მასაჟი - 23 ბენეფიციარი.

➤ მიღწეული შედეგები:

სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა პროფესიული უნარების განვითარების გზით.

საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე შეღავათებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 10)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 691.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 366.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 53.0%. პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია დაგეგმილთან შედარებით პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ნაკლები ფაქტიური რაოდენობით.

➤ პროგრამის აღწერა:

მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, პენსიონერების საქალაქო მგზავრობის ღირებულების 10 თეთრით კომპენსაცია (I-III კვარტალი - 206799 მგზავრობა).

მასწავლებლების, სტუდენტების ასაკით პენსიონერების საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების 50% დაფარვა (IV კვარტალი- 180117 მგზავრობა).

ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების საქალაქო ტრანსპორტით უფასო მგზავრობით უზრუნველყოფა (I-III კვარტალი - 576 ვეტერანისა და 133 ხანდაზმულის უფასო მგზავრობა)

ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, მოსწავლეების, საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილების 100% დაფარვა. (IV კვარტალი - 164810 მგზავრობა)

➤ მიღწეული შედეგები:

მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობა.

გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 11)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 205.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 115.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 56.2%. პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი



განპირობებულია დაგეგმილთან შედარებით პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ნაკლები ფაქტიური რაოდენობით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

გაზიფიკაციის თანხით უზრუნველყოფილ იქნა 35 - I ჯგ. უსინათლო შ. შ. მ. პირის ოჯახი, 123 - ვეტერანის ოჯახი, 105 - 0-70000 ქულის მქონე ოჯახი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა;
ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 14)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 691.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 689.0 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 99.7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნულ პროგრამაში კლასიფიცირდებოდა ქ. ბათუმის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებზე გამოყოფილი ერთჯერადი მატერიალური დახმარებები.

მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 16)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 62.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 62.3 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 99.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრებ 2 მრავალშვილიან ოჯახს (7 და მეტი შვილი) პროგრამის შესაბამისად უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა საცხოვრებელი ბინები. ოჯახს, რომლებსაც ბინა არ ჩაბარდათ კეთილმოწყობილ მდგომარეობაში, გადაეცათ საკომპენსაციო თანხა - 62 250 ლარის ოდენობით. (1 კვ.მ-ზე 250 ლარის ოდენობით) სარემონტო სამუშაოებისათვის.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მრავალშვილიანი ოჯახების გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;

